MES 8 22 0001069238

13/09/2022

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 30 აგვისტოს 14:00 საათზე.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1) კახა შენგელია - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2) ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
3) დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4) გაგა გვენეტაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
5) ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
6) ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7) გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
8) ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
9) ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
10) ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

11) კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
12) ანა ფირცხალაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
13) ელენე ჟურავლიოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1) ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
2) ნიკოლოზ ფარჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3) ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
4) ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
5) თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
6) დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
7) ედვინი სირბილაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1) ნოდარ სურგულაძე - უმაღლესი განათლების მიმართულების დირექტორი - ათასწლეულის ფონდი;
2) ჯულიეტა კაპანაძე - იურისტი;
3) ნინო ფანცულაია - აკადემიური დეპარტამენტის მენეჯერი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია:

1) მამია ბალახაძე - რექტორი;
2) ლევან ქავთარაძე- რექტორის პირველი მოადგილე;
3) დავით რაზმაძე- რექტორის მოადგილე;
4) იმედა გვრიტიშვილი- რექტორის მოადგილე-შტაბის უფროსი;
5) მარიამ ღამბაშიძე-ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
6) თეიმურაზ ნიკოლაიშვილი- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ოფიცერი;
7) სოფიო ფაჩულია - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
8) თამარ რემიშვილი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
9) ელენე რომელაშვილი- შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;
10) გიორგი ლაღიაშვილი- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;
11) თინათინ კროპაძე- მთავარი მეცნიერი;
12) დავით ჩოხელი- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;
13) გიორგი არაბული- იუნკერთა სასწავლო ბატალიონის მეთაური;
14) რუსლან დარჩიძე- საგამოცდო ცენტრის უფროსი;
15) შალვა გელაძე- დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი;
16) როინ ფაილოძე- ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
17) ზურაბ ზერეკიძე- ბაკალავრიატის ხელმძღვანელი;

18) იოსებ ჯაფარიძე- აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი;
19) თამარ საძაგლიშვილი- იურიდიული სამმართველოს უფროსი;
20) ლია გელოვანი- მთავარი იურისტი;
21) გიორგი მინდიაშვილი - ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი;
22) გიორგი ჯაგაშვილი - შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
23) ჯაბა ორთოიძე - აკადემიის შტაბის კანცელარიის უფროსი;
24) ლაშა დიდებულიძე - აკადემიის შტაბის G-1 ის სამსახურის უფროსი;
25) გიორგი ვანიშვილი - აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უფროსი;
26) ჯიმი კეკელაშვილი - აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო-სასწავლო განყოფილების უფროსი;
27) მამუკა ბახსოლიანი - აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი;
28) ვახტანგ პაიჭაძე - აკადემიის შტაბის G-4 სამსახურის უფროს;
29) კახაბერ ყავლაშვილი - აკადემიის შტაბის G-5 სამსახურის უფროსი;
30) სოსო კვარიანთაშვილი - აკადემიის შტაბის G-6 სამსახურის უფროსი;
31) დავით დათუნაშვილი - აკადემიის შტაბის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:
1) მურთაზ დევაძე - რექტორი;
2) ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3) რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
4) მირიან ცინცაძე - ფოთის ფილიალის - ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
5) ნინო ხორავა - ფოთის ფილიალის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:
1) მეუფე სპირიდონი (გოჩა აბულაძე) - უნივერსიტეტის რექტორი;
2) როინ მალაყმაძე - პროფესორი;
3) სულხან ალექსაია - ისტორიის პროგრამის ხელმძღვანელი;
4) ტარიელ ებრალიძე - არქეოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
5) თემურ ტუნაძე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, პროფესორი;
6) ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
7) ნაილე მიქელაძე - პროფესორი;
8) თალიკო ბერიძე - ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
9) ლელა კუკულაძე - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
10) ნონა შუშანიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
11) ნესტან მამუჭაძე - ჟურნალისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12) სონია ჩეჩელაშვილი - აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;
13) მზია შავაძე - იურისტი;
14) ია შალამბერიძე - სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
15) ლაშა ბერიძე - ასოცირებული პროფესორი;
16) ედვარდ მიქელაძე - პროფესორი;
17) ავთანდილ დიასამიძე - პროფესორი;
18) ნათია ბერიძე - პროფესორი;
19) ნანა ჟიჟავაძე - ინგლისური ენის ლექტორი;

20) თამილა ჩურკვეიძე - ინგლისური ენის ლექტორი;
21) ნოშრევან აბაშიძე - ბუღალტერი;
22) ნატალია შარაძე - ბუღალტერი;
23) ბესიკ ბერიძე - საჯარო მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი;
24) სამონაზვნე ბარბარე - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი;
25) ლელა კუკულაძე - ფილოლოგის სპეციალობის ხელმძღვანელი;
26) გივი ჭუმბურიძე - მათემატიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
27) გოგიტა მშვენიერაძე - ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე;
28) ნანა ჯაბნიძე -აგრარული მეცნიერებანის პროგრამის ხელმძღვანელი;
29) ინგა ზოიძე - დეკანის მოადგილე;
30) რეზო ვასაძე - პროფესორი;
31) ლელა ჯახაია - ასოცირებული პროფესორი;
32) ეკატერინე გელენიძე- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;
33) ნაილა ჩელებაძე - პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1) ჟან ჟაკ ჟ. მარსია;
2) ნათია ჭიღვარია ;
3) ქრისტინა რზგოევა;
4) მარიამ გორგოძე;
5) დავით სიხარულიძე;
6) ილია ბოცვაძე;
7) ია ნაცვლიშვილი;
8) ციცინო თურქაძე;
9) ანა მჭედლიშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ.

ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, ნინო ალავიძემ, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგის პროექტით განსაზღვრული მეორე საკითხის შეფასებაში ჩართული საერთაშორისო ექსპერტი - ჟან ჯაკ ჟ. მარსია საქართველოს დროით 3 საათზე მოახერხებდა სხდომაზე დასწრებას, შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა საბჭოს ემსჯელა შესვენების გამოცხადებაზე ან დღის წესრიგის ცვლილებაზე და მესამე საკითხად განსაზღვრული - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ საკითხის მეორე საკითხად განხილვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი შემდეგი სახით:
1) სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2) სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ;
3) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4) ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ.
წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1.სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებებიგანსახილველ საკითხთან მიმართებით.
სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტი, ჯული კაპანაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განაცხადა რომ ყოველწლიურად სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს აწვდის განახლებულ ინფორმაციას სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ვინაიდან ის ოპერირებს საქართველოში და დაწესებულების გარე ხარისხის უზრუნველყოფის დაკმაყოფილების პირობები არის განსხვავებული საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელებული გრანტის

დიდი წილი სწორედ მოხმარდა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომლის მიმნიჭებელი სააკრედიტაციო ორგანიზაცია არის ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2019 წელს განახლდა მემორანდუმი 5 წლის ვადით, რომლითაც სახელმწიფომ რეალურად აიღო ვალდებულება იმაზე, რომ ყველანაირად თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მე-5 ნაკადის კურსდამთავრებულთა გამოშვება. მოგეხსენებათ, რომ 2023 წელს, მიღებიდან მე-5 ნაკადი ამთავრებს სწავლას. ამისათვის გვესაჭიროება დროულად ავტორიზაციის ვადის გაგრძელება. დასაბუთებული განაცხადი მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ცენტრში წარმოდგენილ წერილობით შესაბამისი დანართებითურთ. აკადემიურ მხარეზე უფრო მეტს თავისთავად ჩემი კოლეგა ნინი ფანცულაია ისაუბრებს. ბატონი ნოდარი სურგულაძე კი წარმოადგენს მილენიუმის ფონდს. მილენიუმის ფონდი, როგორც მოგეხსენებათ არის რეალურად ჩვენი მხარდამჭერი ფონდი, მათი პროექტის ფარგლებში ხორციელდება უმაღლესი განათლების ეს პროექტი.

ნინო ფანცულაიამ დაამატა რომ ისინი ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებენ სამ სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს არის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სულ ხორციელდება ექვსი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

ნოდარ სურგულაძის თქმით, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება 2014 წელს, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთ თანამშრომლობას 20 წლის ვადით. რიგი პირობების გამო, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა მხოლოდ 5 მიღება ექვს პროგრამაზე და სტუდენტების ნაწილი 2023 წელს დაასრულებენ სწავლას. მისი თქმით, კალენდარულად ხვალ იწყება საქართველოს დელეგაციის ვიზიტი სან-დიეგოში, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი, შეხვედრას დაესწრებიან სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის და ათასწლეულის ფონდის წარმომადგენლები. მოლაპარკების მიზანია არსებული ხელშეკრულების სრულფასოვნად განახლების საკითხის განხილვა და სურთ, რომ 2023 წლიდანაც არსებული კანონმდებლობის ჩარჩოში გაგრძელდეს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოში პროგრამების განხორციელების საკითხი. მოგეხსენებათ, კანონში ჩანაწერი ითვალისწინებს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაგრძელების შესაძლებლობას იმ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების პირობებში, რომელსაც ახორციელებს სათაო სან-დიეგოს უნივერსიტეტი. ამ პროგრამების აკრედიტაცია განახორციელა WASC სააკრედიტაციო ორგანიზაციამ (აშშ კალიფორნიის „სკოლებისა და კოლეჯების დასავლური ასოციაცია (WASC)). აკრედიტაცია ასევე ხდება ABET (ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭო) სააკრედიტაციო ორგანიზაციის მიერ, რომლის ლოკაცია არის ამერიკის შეერთებული შტატები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:20 საათი.
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:30 საათი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის 5 წლით მინიჭების და სტუდენტების რაოდენობის 2 000 - ით განსაზღვრის შესახებ. გადაწყვეტილების ამოქმედების ვადად, განისაზღვროს 2021 წლის 21 აგვისტო.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებისას სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა და აღიარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის № 20 დადგენილების პირველი მუხლის 1^1 და 1^3 - პუნქტების და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს(სტატუსი - უნივერსიტეტი) მიენიჭა ავტორიზაცია 5 წლის ვადით. სტუდენტების რაოდენობა განისაზღვროს 2 000 - ით. გადაწყვეტილება ძალაში შედის 2021 წლის 21 აგვისტოდან.

2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა ყველას და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს თხოვა წარმოედგინათ მათ მიერ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, დავით სიხარულიძის თქმით, მონიტორინგი განხორციელდა 2022 წლის 29 ივლისს ქალაქ ბათუმში და ასევე ფოთში, ფოთის ფილიალში. ვიზიტის მიზანი იყო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ქალაქ ფოთში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. ექსპერტთა ჯგუფმა ავტორიზაციის კონკრეტულ სტანდარტებთან მიმართებით შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ანგარიში ეყრდნობოდა ძირითადად ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლას, ადგილზე კონკრეტული ფართის დათვალიერებას და ამ დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა დასკვნა. ძირითადად 12 რეკომენდაცია იყო გაცემული და ყველა რეკომენდაცია არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები. საბჭოს წევრების კითხვების არ არსებობის შედეგად საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორმა - მურთაზ დევაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ვინც ჩამოსული იყვნენ, ასევე ყველა საბჭოს წევრს.
ნინო ყურშუბაძის თქმით ფოთის ფილიალი, ფოთის საზღვაო სასწავლო ცენტრი, რომელიც გახლავთ საზღვაო აკადემიის განუყოფელი ნაწილი, მისი ჩამოყალიბება დაიწყო 2020 წელს და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, კონკრეტულად საფეხურების მიხედვით გარკვეული საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპები გაიარა. 2020 წელს საზღვაო აკადემიამ დაიწყო მოკლევადიანი პროგრამების განხორცილება, რომლებიც არის აღიარებული მარეგულირებლის მიერ, შემდგომ პროფესიული განათლების განხორცილებების უფლება მოიპოვა და რა თქმა უნდა მე-7 სტანდარტის შესაბამისად ფოთის ფილიალის საზღვაო სასწავლო ცენტრი აღიარებული იყო როგორც საზღვაო აკადემიის განუყოფელი ნაწილი. ექსპერტების მიერ 2021 წელს იყო გაცემული 12 რეკომენდაცია. რეკომენდაციები რომ დავყოთ, ისინი ეხებოდა როგორც სამედიცინო პერსონალის და კაბინეტის უზრუნველყოფას, ასევე უსაფრთხოების ოთახის და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების განთავსებას, აგრეთვე ბიბლიოთეკის საბოლოო ფორმით აღჭურვას და ბიბლიოთეკის ფართის გაფართოებას, ტექნიკით აღჭურვას და რაც მთავარია, შესაბამისი კვალიფიკაციის ბიბლიოთეკარის სამსახურში აყვანას, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფას ფოთის ფილიალში და პერსონალის ტრენინგს. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც აგრეთვე იყო რა თქმა უნდა სასწავლებლის მიერ შესრულებული, ეს არის იგივე საქმიანობის განხორციელება ფოთის ფილიალში რა საქმიანობასაც ახორცილებს ბათუმის საზღვაო აკადემია, ანუ უმაღლესი პროგრამების განხორციელებას. შესაბამისად, 2022 წელს ფოთის ფილიალში დაიგეგმა და გამოცხადდა მიღება ორ პროგრამაზე. ეს არის ეკონომიკა, ტრანსპორტის ეკონომიკა და ფინანსები. 2022 წელს ჩვენ ვიწყებთ უმაღლესი პროგრამების განხორციელებას. აგრეთვე მინდა აღვნიშნო, რომ უმაღლესი პროგრამების ფარგლებში ჩვენ გავიარეთ მონიტორინგი და მივიღეთ რჩევა, რომ ფოთის ფილიალისთვის განმახორციელებელი პერსონალი მოვიზიდოთ, თუმცა ამ ეტაპზე ამ პროგრამებს ახორციელებს საზღვაო აკადემიის ბიზნესის და მენეჯმენტის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

კონსტანტინე სირბილაძის თქმით, რეკომენდაციაში საუბარი იყო, რომ საბიბლიოთეკო ფართი უნდა ყოფილიყო გაფართოებული, უკეთესი პირობები უნდა ყოფილიყო შექმნილი. დასკვნაში წერია, რომ ეს განხორციელდა, ანუ შეიცვალა ბიბლიოთეკის მდგომარეობა. მას აინტერესებდა, რის ხარჯზე მოხდა ეს? სასწავლო ფართს მოაკლდა, თუ ახალი ფართი იქნა მოპოვებული იმისათვის, რომ ბიბლიოთეკა იქ განეთავსებინათ?
მურთაზ დევაძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკას ეკუთვნის 150 მ.კვ, ასევე სადაც წიგნთსაცავია 60 მ.კვ ფართით განთავსებული. ბიბლიოთეკაში გაკეთდა სპეციალური ხის ტიხარი, რომელიც არის გამოყოფილი სამკითხველო დარბაზიდან. სასწავლო ფართი არ შეცვლილა.
კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის გამოუმჯობესების საკითხით.
მურთაზ დევაძის თქმით, სილაბუსების მიხედვით განსაზღვრული ყველა წიგნი იყო შეძენილი. ნინო ყურშუბაძემ დაამატა, რომ მოთხოვნა იყო ფოთის ფილიალის საბიბილიოთეკო ნაწილი ცალკე ყოფილიყო საძიებო სისტემაში. შესაბამისად უზრუნველყოფილია და ცალკე იძებნება ფოთის ფილიალიც.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:30 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:55 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 88-ე მუხლის მე-8 და 25-ე პუნქტების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჟან ჟაკ ჟ. მარსიამ აღნიშნა, რომ მან სიამოვნებით იმუშავა ექსპერტთს გუნდთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ ქალბატონი ია მოსაშვილი - კომპიუტერულ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან; ნათია ჭიღვარია - სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, ქრისტინე რზგოევა - დამსაქმებელი ექსპერტი, რომელიც გახლავთ საქართველოს საზღვაო-სატრანსპორტო სააგენტოს იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი. ექსპერტთა პანელის წარმომადგენელია ასევე სტუდენტი - ექსპერტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - მარიამ გორგოძე. ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა თავი, აღნიშნა, რომ იგი არის გადამდგარი ოფიცერი ბელგიის არმიისა და სახელმწიფო სამხედრო სკოლის აკადემიური და კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი წლების განმავლობაში. რაც შეეხება

ამ შეფასებას, ძირითადად სამ ნაწილად გავყოფ. ჯერ ზოგადი შთაბეჭდილება რაც ჩამოგვიყალიბდა, ამას შევეხები. დავიწყებ იმით, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მომზადების დონე საბაკალავრო პროგრამებზე არის დამაკმაყოფილებელი, მოსაწონია აკადემიაში დასაქმებული პერსონალის მიერ მათი გადამზადების დონე. ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ თავდაცვის აკადემიას უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა, რომ ამ დონის გადამზადება სამაგისტრო საფეხურზე მყოფ სტუდენტებსაც ჰქონოდათ. ამ მხრივ განვითარებული იყო ასევე კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებისა და პერსონალის გადამზადებას. შესანიშნავია სამხედრო ძალების მომზადების დონე, სამხედრო ოფიცრები არიან მნიშვნელოვანი საქართველოს უსაფრთხოებისთვის და თავდაცვის უნარიანობისთვის მიმდინარე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, რომელსაც კიდევ უფრო ამწვავებს რუსეთის ომი უკრაინაში. ამას შეუძლია სამომავლოდ კიდევ უფრო გაუხსნას თავდაცვის აკადემიას გზა იმ მხრივ, რომ განავითაროს სადოქტორო პროგრამები თუ იგი შექმნის კარგად დაორგანიზებულ და კარგად გათვლილ განვითარების გეგმას და განავითარებს შესაბამის ადგილობრივ თუ საერთაშორისო საპარტნიორო ურთიერთობებს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ასევე კარგი იქნება ნაბიჯის გადადგმა ორმაგი სადოქტორო ან ერთობლივი სადოქტორო პროგრამების განვითარების კუთხით, რომ უფრო წარმოჩნდეს და დაწინაურდეს უნივერსიტეტთაშორისი კავშირები. ურთიერთობაც დაწინაურდეს და ასევე ზოგადად საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით უფრო მეტად განვითარდეს თავდაცვის აკადემია. ვიზიტის დროს სხვადასხვა შეხვედრებზე მოწვეული გვყავდა და ინტერვიუ მიმდინარეობდა თავდაცვის აკადემიის მრავალფეროვან წარმომადგენლობასთან. მათ შორის იყვნენ თავდაცვის აკადემიის რექტორი, მისი თანაშემწე-მოადგილეები, დეკანები, აკადემიის კაპელანი, სერჟანტი, აკადემიური საბჭოს წარმომადგენლები, დანაყოფების წარმომადგენლები G1-დან - G6-ის ჩათვლით, ასევე დაგეგმარების განყოფილება, უსაფრთხოების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კანცელარია, შიდა აუდიტის და პიარ განყოფილებები, იუნკერთან მომზადების ბატალიონი, ენობრივი გადამზადების ცენტრი, ბიბლიოთეკა, პროგრამების ხელმძღვანელები, პერსონალი, თვითშეფასების ჯგუფი, სტუდენტები, სტუდენტ-სპიკერები და სხვა ქვედანაყოფების წარმომადგენლები, დავათვალიერეთ ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება თანამშრომლობის დონეს, ექსპერტთა პანელსა და თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებს შორის გარკვეულწილად შერეული რეაქციები მოჰყვა ჩვენი ძირითადი მიგნებების გაცნობას. ჩანდა, რომ გარე შეფასებისთვის არცთუ ისე შესაბამისად მომზადებული იყო მენეჯმენტის გარკვეული წარმომადგენლები. რექტორის მხრიდან იყო გამოხმაურება, რომ ისინი არ მიიღებდნენ ამ მიგნებებს და საპასუხო არგუმენტაცია ექნებოდათ ამასთან დაკავშირებით. თავდაცვის აკადემიის სხვა წარმომადგენლები ექსპერტთა პანელის მიმართ იყვნენ კეთილგანწყობილნი. ჩვენი რეკომენდაციები იქნა მიღებული მათი მხრიდან და განსაკუთრებით ამ მხრივ დადებითად დაგვამახსოვრდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მხოლოდ კონკრეტული რამდენიმე მიგნება იქნება ამ შემთხვევაში გამოკვეთილი. პირველი ეხება იმას, რომ თავდაცვის აკადემიამ უნდა შეცვალოს საკუთარი მისიის განაცხადი ისე, რომ ის იყოს ზუსტი და უფრო მორგებადი მის სტრატეგიულ გეგმასთან, უფრო უკეთესად გამოკვეთოს მისი როლი და ადგილი იმის გათვალისწინებით, რომ დაფიქრდეს იმ კონტექსტზე, ტრენდებსა და გამოწვევებზე, რაც დღევანდელ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ტრიალებს ეროვნულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე და ასევე განსაზღვროს კონკრეტული თვლადი მიზნები და შესრულების ინდიკატორები თავის სამოქმედო გეგმაში. ასევე ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელსაც ეხებოდა ამჟამად გაზიარებული ილუსტრაცია, უკავშირდებოდა ზოგადად ორგანიზაციული მოწყობის დონეს, მათ შორის ერთ-ერთი რეკომენდაცია გაიცა იმასთან დაკავშირებით, რომ დეკანი და ცალკეული აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელი არ უნდა იყოს ერთიდაიგივე პიროვნება. ის უნდა იყოს შესაბამისი სამსახურებრივი მოვალეობების აღწერილობის მქონე ცალ-ცალკე ადამიანი. დეკანები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი სწავლების და კვლევის საკითხებზე, ხოლო ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები უშუალოდ უნდა მართავდნენ მათ

კურსებზე საგანმანათლებლო პროცესებს და სწორედ აი ამას ემსახურებოდა ეს მატრიცა,სადაც განცალკევებულია ეს პოზიციები. შესაბამისად ილუსტრაცია იმისთვის იქნა მოყვანილი, რომ გვეჩვენებინა მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე. ამ მაგალითის შესაბამისად სამხედრო აკადემიას მართავდა ოთხი ხელმძღვანელი. ერთ-ერთი გახლდათ ვიცე-რექტორი და მოცემული იყო ასევე ორი ფაკულტეტის ხელმძღვანელი, რომელიც ხელმძღვანელობდა ენათა ცენტს. იგი პასუხისმგებელი იყო განევითარებინა ადამიანური რესურსების მიმართულება და კვლევითი მიმართულება. ერთ-ერთი ხელმძღვანელი ასევე ხელმძღვანელობდა ორ ბატალიონს. ერთი ბაკალავრიატის შემთხვევაში და ერთი სამაგისტრო მიმართულებით. მესამე ხელმძღვანელი ამ ოთხიდან მეთვალყურეობდა ძირითადი სამხედრო ფორმირების, ძირთადი შენაერთების ხელმძღვანელობას, ოფიცერთა ძირითად ფორმირებას და ასევე ერთ-ერთი ბოლო ხელმძღვანელი ამ ოთხიდან იყო პასუხისმგებელი ზოგადად აკადემიის ადმინისტრირებაზე და სერვისების ხარისხიანად ფუნქციონირებაზე. წარმოდგენელი იყო ასევე სადოქტორო სკოლები, რომლებიც იმართებოდა ფაკულტეტის დონეზე და აკადემიაში ამ სადოქტორო სკოლებს შესაბამისი დეპარტამენტები აერთიანებდათ. ილუსტრაციაზე “X” მონიშნული იყო უბრალოდ ვინ რა სერვისზე იყო პასუხისმგებელი. რაც შეეხება ჩვენს დარჩენილ მცირე მიგნებებს, ვთვლით რომ თავდაცვის აკადემიაში დასაქმებული პირები უნდა აცნობიერებდნენ ხარისხის კულტურის მნიშვნელობას ინსტიტუციის განვითარებისთვის და მაქსიმალურად ყველა მხარე ამ განვითარების პროცესში უნდა იყოს ჩართული. მათი ჩართულობა საჭიროა განსაკუთრებით იმ პროცესში რომელსაც აორგანიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამების სამოქალაქო ნაწილს ვფიქრობთ, რომ ამ პროგრამებში უკეთესად იმპლემენტირებული უნდა იყოს მეტი პრაქტიკა და რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, მათშიკვლევითი კომპონენტი უნდა განვითარდეს ა. კიდევ ერთი მიგნება უკავშირდება იმას, რომ კარიერული განვითარების სამსახურისჯობს რომ იყოს გამოყოფილი ცალკე, რომელიც დივერსიფიცირებას მოახდენს, უფრო გააძლიერებს კარიერული განვითარების მხრივ ზომებს და ასევე დასაქმების შესაძლებლობებსაც შექმნის განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორისთვის. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა განვითარდეს განსაკუთრებით სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის. ბოლო მიგნება უკავშირდება კვლევით მიმართულებას. აკადემიას უნდა ჰქონდეს ძლიერი განვითარების პოლიტიკა და გეგმა კვლევითი მიმართულებით. ასევე წინ უნდა წამოიწიოს და განვითარდეს კონკრეტული გაზომვადი კრიტერიუმები, რათა შეფასდეს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ხარისხი და ასევე ა წინ წამოწიოს ინსტიტუტის კვლევითი სტრატეგია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ქართველ ექსპერტებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები. ექსპერტთა დამატებითი მოსაზრებების არ არსებობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

აკადემიის რექტორი, გენერალი ბალახაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს აკადემიაში ვიზიტისთვის და იმ გაწეული საქმიანობისთვის, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანი იყო რათა დაენახათ სად არის ეროვნული თავდაცვის აკადემია. რასაც ბატონი ჟანი საუბრობს სამწუხაროა, რომ არასწორად ვაყალიბებთ აკადემიის სტრუქტურას.ფაქტიურად 5 სტანდარტში არის ისეთი მითითებები რომლებზედაც როცა აქ ბრძანდებოდით ჩვენ მაშინვე გამოვხატეთ პოზიცია, შესაბამისი არგუმენტებით წარვდექით და ვფიქრობდით რომ გაითვალისწინებდით, მაგრამ სამწუხაროდარ გაითვალისწინეთ. მოგეხსენებათ რომ როცა ვსაუბრობთ სტრატეგიაზე და მიზანზე ალბათ დამეთანხმებით, რომ ჯერ სტრატეგია იწერება და მერე მიზნები განისაზღვრება. როცა ამხელა ინსტიტუტს იმას გვეუბნებით, რომ თურმე რაღაცა მიზანს სტრატეგია უნდა მოვარგოთ ცოტა ჩვენთვის გაურკვეველია. ჩვენ ვართ ორი ქოლგის ქვეშ მომსახურე დაწესებულება, მოდი ასე ვთქვათ სასწავლო სამხედრო საგანმანათლებლო ინსტიტუტი. ანუ გვისწევს როგორცთავდაცვის მინისტრის, ისე განათლების მინისტრის შესაბამისი როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო

მიმართულებით კანონებით განსაზღვრული პროცესის მართვა. გასაკვირია როგორ უნდა გაგვაჩნდეს კვლევა როცა მოცემულ სამსახურს თავდაცვის აკადემიაში 8 თვის უკან აქვს დაწყებული საქმიანობა. თქვენ ის სპეციალისტები ბრძანდებით ვისაც კარგად მოგეხსენებათ ამას რამდენი შრომა და წლები, რა ვადები სჭირდება და ა.შ. ამიტომ ის რომ ინსტიტუტს ეს დავუწეროთ რომ რომელიღაც სტანდარტში მოიკოჭლებს ეს ალბათ მოკოჭლება არ არის, პირიქით თქვენ უნდა მოგვცეთ იმის სტიმული და შეგვაქოთ რომ სამხედრო სამეცნიერო სკოლის განვითარება დაინერგა ჩვენს ქვეყანაში და მითუმეტეს თავდაცვის აკადემიის ბაზაზე. ჩვენ არავართ ინსტიტუტი, სადაც სტუდენტები მოდიან, თანხას იხდიან და შემდეგ თანხის განაწილება ხდება მათი ინტერესებიდან გამომდინარე ან მათზე მორგებული სიტუაციიდან. მან აღნიშნა რომ მიგნებების დაახლოებით 99% პროცენტს არ ეთანხმება. მაგალითად, როდესაც 30 შენობა დგას ბაზაზე, შედიხართ ერთ-ერთ შენობაში ნახულობთ სადღაც რომელიღაც გასასვლელში “EXIT”-ის ნიშანი არ კიდია აქ არ უნდა განზოგადდეს სრულადსასწავლებელზე, რომ თურმე რაღაც მოწესრიგებული არ არის. იქ იმიტომ არ კიდია “EXIT”-ის ნიშანი რომ შიდა წესებიდან გამომდინარე ყველა შენობაზე სხვადასხვა წესები და სტანდარტები მუშაობს და ჩვენ ვალდებული ვართ შევასრულოთ. აქ არის საჯარისო სამსახური, რომელიც ამავდროულად კიდევ სხვა სტანდარტებს აყალიბებს. ჩვენ სამხედრო სხვა ვალდებულებები გაგვაჩნია, რადგან ვართ სამხედრო ბაზა და არა რომელიმე რაღაცა ცალკეული აღებული რომელიმე შენობა რა თქმა უნდა კარგი გაგებით და კარგით მიმართულებით.

მარიამ ღამბაშიძემ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა წარადგინა მასთან ერთად მოპასუხე რამდენიმე პირი. პირველ სტანდარტზე ვისაუბრებთ მე და ქალბატონი თამარ საძაგლიშვილი, აკადემიის შტაბის იურიდიული სამმართველოს უფროსი. პირველ სტანდარტზე რომ გავამახვილო ყურადღება, პირველი რეკომენდაცია არის რომ აკადემიამ უნდა შეასწოროს თავისი მისიის განაცხადი, გახადოს ის კონკრეტული და თავსებადი სტრატეგიულ გეგმასთან. მოდით ეს რეკომენდაცია ორ ნაწილად გავყოთ და ორ ნაწილად ვიმსჯელოთ. პირველი არის ის, რომ როდესაც დაწესებულება ფასდება პირველი და ყველაზე მოწინავე პოსტულატით ეს არის დაწესებულების მისია. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე თქვენ უნდა შეაფასოთ აბსოლუტურად ყველა სტანდარტი, შესაბამისად ყველა დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ისევე, როგორც სხვა დოკუმენტები მისიას და არა პირიქით იმიტომ, რომ სტრატეგიული განვითარების გემა გამომდინარეობს მისიიდან. ის რაც მისიაში არის გაცხადებული ცხადია შემდეგ უნდა იყოს ჩაშლილი ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით თუ სხვა მიმართულებებით. რაც შეეხება ფაქტს, რომ უფრო კონკრეტული უნდა იყოს და გარდა ამისა, რომ სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს მისიას, პირიქითაა, ამას სამართლებრივად ქალბატონი თამარი დამიჭერს მხარს და გაამყარებს არგუმენტაციას.

თამარ საძაგლიშვილმა, თავდაცვის ეროვნული აკადემიის იურიდიული სამმართველოს უფროსმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. რაც შეეხება იმ საკითხს, რაზეც ისაუბრა მარიამმა და ასევე ბატონმა გენერალმა, კერძოდ თავდაცვის ეროვნული აკადემიის მისიას. თავდაცვის ეროვნულ აკადემიასთან მიმართებით გვაქვს რეკომენდაცია იმასთან მიმართებით, რომ მისია უნდა იყოს უფრო კონკრეტული, მისიაში უნდა იყოს განსაზღვრული უფრო მტკიცე როლი და ადგილი ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და ასევე ეროვნულ და რეგიონულ დონეზე უნდა დგინდებოდეს დაწესებულების როლიც. ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა, რომ მცირედი შესავალი გავაკეთო. როგორც ბატონმა გენერალმა ახსენა, ეროვნული თავდაცვის აკადემია არ არის რიგითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიზიარებთ ყველა იმ საკანონმდებლო რეგულირებას, რაც არის წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის,. როგორც ვხედავ რამდენიმე ჩემი კოლეგაც ესწრება შეხვედრაზე, იურისტები, და ისინი დამეთანხმებიან, რომ არსებობს სპეციალური და ზოგადი ნორმების ურთიერთმოქმედების და ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი რა დროსაც უნდა გავითვალისწინოთ ის საკითხი, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემია არის სპეციფიური და ამისდა მიმართებით მოქმედებს ბევრი

რიგი სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგებები, როგორიც არის ვალდებულების შესახებ კანონი, სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ კანონი და თავდაცვის შესახებ საქართველოს კოდექსი. გარდა ამისა, არსებობს მთელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ბაზა, რომელიც განსახვავებულად აწესრიგებს დაწესებულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საკითხს. ასე რომ, ზოგად ჭრილში ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის განხილვა ვფიქრობ, რომ შესაძლებელია დამოუკიდებული ყოფილიყო გარკვეული მიმართულებით. ჩვენს მისიაში განსაზღვრულია, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიაა მოამზადოს სამხედრო უმაღლესი განათლების მქონე ოფიცერთა კორპუსი. რაც შეეხება ეროვნულ თავდაცვის აკადემიის მიერ ამ საკითხის უფრო ფართო ჩაშლას. ჩემს მიერ ჩამოთვლილი საკანონმდებლო ან ნორმატიული აქტების მოწესრიგებებიდან გამომდინარე უბრალოდ შეუძლებელია ეს საკითხი ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ უფრო ნათლად განსაზღვროს და რატომ ამას მოკლედ ავხსნი. ის საკითხი, რაც ბატონმა გენერალმა განსაზღვრა, კერძოდ რომ ეროვნული თავდაცვის აკადემია არ არის მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ ის წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს სისტემის თავდაცვის ძალების ერთ-ერთ ნაწილს, იგივე სტრუქტურული ქვედანაყოფის მიმართულებით არ გვაძლევს საშუალებას ჩვენ თავად განვსაზღვროთ ის თუ რა მისია ექნება ეროვნული თავდაცვის აკადემიას. საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, თავდაცვის ძალები საქართველოს ჰყავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს საქართველოს სუვერენიტეტი და დემოკრატიული ტერიტორიული მთლიანობა. სწორედ აი ამ მიზნების უზრუნველსაყოფად რასაც განსაზღვრავს კანონის უფლებამოსილებიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის მინისტრი და თავდაცვის ძალების მეთაური მათ სტრატეგიებში ზუსტად ის კონკრეტული ჭრილი და ფარგლები ექნება ეროვნულ თავდაცვის აკადემიის მისიას განსაზღვრული. იმიტომ, რომ ამ ფარგლების გარეთ შეუძლებელია ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ დამატებით თვითონ განსაზღვროს. ეროვნული თავდაცვის აკადემიის დაარსება მთავრობის 2010 წლის 377-ე დადგენილებით არის დამტკიცებული და ამავე დადგენილებაში არის მკაფიოდ განსაზღვრული, რომ ამ დაწესებულების კონტროლი ევალება თავდაცვის სამინისტროს. ასე რომ კიდევ ერთხელ განვმეორდები, როგორც ადგილობრივ დონეზე ანდა მისი ტექსტის ჩამოყალიბებისას და კორექტირების თვალსაზრისით ეროვნული თავდაცვის აკადემია მიუხედავად იგივე თუნდაც უმაღლესი განათლების შესახებ ავტონომიურობიდან გამომდინარე მესმის, რომ თავისუფალია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მაგრამ ისევ და ისევ მივდივართ სპეციალური და ზოგადი ნორმის ურთიერთმოქმედებიდან, სადაც ჩვენ გვაქვს კონკრეტული დავალებები, რომელიც მომდინარეობს ჩვენი მაკონტროლებელი ორგანოსგან. ეს არის თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები.

მარიამ ღამბაშიძემ აღნიშნა, რომ არის რამდენიმე რჩევა და რა თქმა უნდა მიიღებენ ზოგიერთ მათგანს. რჩევების ერთ-ერთ კომპონენტში წერია, რომ აკადემიამ უნდა გააფართოვოს ლიდერობის სწავლება სამხედრო კონტექსტის მიღმა. ლიდერობის პროგრამა ეს არის ნატოს ერთ-ერთი ქვე პროგრამა, რომელიც ძალიან წარმატებით ფუნქციონირებს წამყვან და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ პროგრამის ამ ფორმით განხორციელების ვალდებულება თავდაცვის აკადემიას აქვს არამხოლოდ თავდაცვის ძალების წინაშე, არამედ ნატოს წინაშეც ნაკისრი. შესაბამისად პროგრამის განხორციელებაზე როდესაც ექსპერტები გვეუბნებიან სამოქალაქო მიმართულებითაც გავაფართოვოთ ჩვენ ვერ ვიღებთ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ამ რჩევას იმიტომ, რომ ამ პროგრამის ამ ფორმით განხორციელების ვალდებულება გვაქვს და დასაწყისში აღვნიშნე, გულწრფელად დაგვებადა კითხვა სად გადის ზღვარი ავტორიზაციის სტანდარტებსა და დაწესებულების ავტონომიურობას შორის და ვსაუბრობთ ისეთი დაწესებულების ავტონომიაზე, როგორიც არის ეროვნული თავდაცვის აკადემია და რა თქმა უნდა სამხედრო კონტექსტს ვუსვამ ხაზს. რაც შეეხება მეორე სტანდარტს, ბატონი ჟანი საუბრობდა აკადემიის სტრუქტურაზე. სამწუხაროდ აკადემიის სტრუქტურა არასწორად იქნა აღქმული. პირველად დასკვნის პროექტი როცა მივიღეთ იქ ეწერა ასეთი ჩანაწერი, რომ დეკანის და საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელის თანამდებობა ერთი და იგივე პირს უკავია. რეკომენდაცია გვქონდა, რომ მათ სხვადასხვა ფუნქციები უნდა ჰქონდეთ. ეს ასეც იყო რა თქმა უნდა დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს სხვადასხვა პოზიციები უკავიათ და ჩვენ ავხსენით ჩვენს არგუმენტირებულ პოზიციაში თუმცა სამწუხაროდ მაინც არასწორად ჩამოყალიბდა. შემდგომ ფორმირებულ რეკომენდაციაში ვკითხულობთ რომ რექტორის მოადგილეები ასრულებენ დეკანის ფუნქცია-მოვალეობებს. ეს ასე არ არის, რექტორის მოადგილე თავის პოზიციას ასრულებს, არის 2 დეკანი, რომლებსაც თავის მხრივ დაქვემდებარებულები ჰყავთ პროგრამის ხელმძღვანელები. გარდა ამისა, გადავალ კიდევ მეორე სტანდარტის ერთ რეკომენდაციაზე. ძალიან დიდი მადლობა, ბატონ ჟანს რადგან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებს და ძალიან გვიხარია, თუმცა ჩვენს დასკვნაში ვკითხულობთ მეორე რეკომენდაციაში ასეთ რაღაცას - ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებმა სრულად უნდა გააცნობიერონ ხარისხის კულტურის მნიშვნელობა დაწესებულებისთვის და საჭიროა ყველას ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროცესებში. შემდეგ ჩვენ დასკვნაში ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს, ვციტირებ - შემაშფოთებელია რომ შეფასების შედეგები და რეკომენდაციები ხანდახან გაზიარებულიც კი არ არის პერსონალთან. ექსპერტებს შეეძლოთ გამოეთხოვათ 2019 წლის გაზაფხულის სემესტრში ჩატარებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა რომელიც არის გაზიარებული პერსონალთან და ჩვენ წარმოგიდგენდით ელ-ფოსტის გაგზავნილ შეტყობინებებს, შეხვედრის ოქმებს, მათგან მიღებულ უკუკავშირებს როგორ შეიძლებოდა გამოესწორებინათ ესა თუ ის გასაუმჯობესებელი მხარეები, თუმცა სამწუხაროდ თქვენგან არ იქნა გამოთხოვილი ეს დოკუმენტაცია აქ ამაზე დაფუძნებით ჩვენ რა თქმა უნდა საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია ეს ჩანაწერი და დიდი სურვილი გვექნებოდა თუ გაასწორებდით. კიდევ ერთი უზუსტობა, რაც დასკვნაში არის და ამაზე მითითებული გვქონდა არგუმენტირებულ პოზიციაში, თუმცა სამწუხაროდ ესეც არ იქნა გათვალისწინებული. დასკვნაში წერია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიქმნა 2021 წელს, მეც 2020 წელს კონკურსის წესით დავინიშნე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად და ძალიან ბევრი დოკუმენტი იყო იმის დამადასტურებელი რომ დარწმუნებულიყავით როდის შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცა შეგახსენებთ, რომ აკადემიის წესებით 2011 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იქნა შექმნილი და საკმაოდ წარმატებული ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა არსებობს აკადემიაში. დასკვნაში თქვენ აღნიშნული გაქვთ, რომ არსებობს ნატოს დით იარი-ს პროგრამა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა გვითხრეს შეხვედრაზე რომ ამ პროგრამის წარმომადგენლები გარე შეფასებას ახდენენ პროგრამის, თუმცა დოკუმენტირებული არ არისო. სამწუხაროდ თქვენ ალბათ ვერ იპოვეთ ეს დოკუმენტი რომელიც 3.3.1. საქაღალდეში დევს. სახელმწიფო რესურსების მართვის პროგრამა ზუსტად რომ დითის ექსპერტების მიერ არის შეფასებული, ამაზე მიგითითეთ ჩვენ არგუმენტირებულ პოზიციაშიც, თუმცა სამწუხაროდ თქვენ არ გაითვალისწინეთ ეს პოზიცია. მესამე სტანდარტთან მიმართებით, ბატონო კახა და პატივცემულო აუდიტორია არ გვაქვს რეკომენდაციების და რჩევების უკუკავშირი. არც მეოთხე სტანდარტთან რადგან ფაქტია იმიტომ, რომ მეოთხე სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია და ძალიან დიდი მადლობა კიდევ ერთხელ ექსპერტებს, რომ ობიექტურად დაინახეთ ჩვენი სიძლიერე. გადავალ მე-5 სტანდარტზე. მეხუთე სტანდარტის პირველ რეკომენდაციაზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. ჩამოყალიბებული არის შემდეგნაირად - სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართული უნდა იყვნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები. პირველი ჩვენი უკუკავშირი ამ რეკომენდაციასთან მიმართებით არის ფორმულირებასთან დაკავშირებით. ჩვენ გული შეგვტკივა რა თქმა უნდა იმაზეც, რომ რე ავტორიზაცია როდესაც მოგვიწევს, სხვა ექსპერტი როდესაც ჩვენ დასკვნას ნახავენ, რა თქმა უნდა იხელმძღვანელებენ ამ რეკომენდაციებით. შესაბამისად რეკომენდაციის ფორმულირება უნდა იყოს სწორი. თქვენც შეგექმნათ შთაბეჭდილება თითქოსდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის იუნკერები საერთოდ არ არიან ჩართულები კვლევით პროექტებში. რეალურად ეს

ასე არ არის, უამრავი მტკიცებულება არის წარმოდგენილი და დიდი იმედია მოწოდებული არის თქვენთანაც და შეგიძლიათ ამის გადამოწმება. ეორე, იგივე რეკომენდაციასთან მიმართებით გვაქვს კიდევ ერთი უკუკავშირი. დაწესებულებას ზოგადად საერთოდ არ აქვს ვალდებულება, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ჩართოს სამეცნიერო კვლევით აქტივობებში. მოგხსენებათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ორი კომპონენტი აქვს, სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტში შედის საბაკალავრო ნაშრომი, ხოლო სამეცნიერო კვლევით კომპონენტში შედის სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები. შესაბამისად, რეკომენდაციის პირველ ნაწილს არ ვიღებთ, ამის ვალდებულება არ გვაქვს, თუმცაღა თქვენ ნახავთ სხვადასხვა პროგრამებიდან საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც მაინც ჩართული გვყავს სამეცნიერო კვლევით აქტივობებში იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა სამეცნიერო კვლევითი კულტურა დავნერგოთ ჯერ კიდევ საბაკალავრო საფეხურზე. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს სამაგისტრო საფეხურთან მიმართებით, ჩვენ ვითვალისწინებთ ამ რეკომენდაციას. ნამდვილად კიდევ ერთხელ ვიმუშავებთ რომ გავააქტიუროთ მუშაობა სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით, თუმცა არ შემიძლია ერთი ობიექტური რეალობა არ აღვნიშნო. როდესაც თქვენთან გამოვგზავნეთ დოკუმენტაცია მიმდინარედ გვქონდა სამი საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან ორი 2021 წელს დავიმატეთ, შესაბამისად ორი პროგრამა იყო ძალიან ახალი. როდესაც თვითშეფასება გამოვგზავნეთ ორ პროგრამაზე პირველ სემესტრში გვყავდა სტუდენტები, შესაბამისად რა თქმა უნდა ალბათობა იმისა, რომ პირველი სემესტრიდანვე ეს იუნკერები არ ჩაერთვნენ კვლევით აქტივობაში დიდია. მანამდე კიდევ ერთი დეტალი. იმ ერთ პროგრამაზე რომელზეც 2021 წლამდე გვყავდა შვიდი სტუდენტი, შვიდი სტუდენტიდან სამი არის ჩართული. შვიდი როდესაც არის გენერალური ერთობლიობა სტუდენტების და ჩართული სტუდენტების რაოდენობა მესმის რომ მცირე არის და არ არის კარგი მოსასმენი რომ სამია, მაგრამ თქვენ აქ უნდა გააკეთოთ შედარება. იუნკერებს აქტივობაში აქამდე მონაწილეობა არ მიუღიათ, ეს გამოვლინდა გასაუბრების დროს. აქაც სასურველი იყო გაგეთვალისწინებინათ გენერალური ერთობლიობა. 352 იუნკერიდან შემთხვევით შერჩევის პრინციპით შეირჩა შვიდი იუნკერი. ალბათობის პრინციპით რომ ვიმსჯელოთ ალბათობა იმისა, რომ ამ შვიდ იუნკერში არ მოხვდებოდა ის იუნკერი, რომელიც ჩართულია სამეცნიერო კვლევით პროექტებში დიდია. ეს რომ ყოფილიყო მიზნობრივი შერჩევა ჩვენ რა თქმა უნდა ისეთ იუნკერებს შევარჩევდით რომლებიც ჩართული იყვნენ კვლევებში., კარგ იუნკერებს შევარჩევდით, მაღალ აკადემიურ მოსწრებას ვგულისხმობ და ისინი რომლებიც კვლევით პროექტებში იყვნენ ჩართულნი. ინტერვიუირების სესიებზე დავასწარით, რა თქმა უნდა ეს იუნკერები რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით იყვნენ ჩართულენი ჩვენდა გასახარად, რა თქმა უნდა თქვენ დარწმუნებული ვარ ისიამოვნეთ მათთან კომუნიკაციით, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ იმას, რომ გენერალური ერთობლიობა ძალიან დიდი იყო და შერჩეული იუნკერების რაოდენობა მცირე. . კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გასაძლიერებლად და გასამრავალფეროვნებლად ასევე დასაქმების შესაძლებლობისთვის განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორში უნდა დაინერგოს კარიერული განვითარების ცენტრი. ჩვენ როდესაც გავაკეთეთ უკუკავშირი არგუმენტირებულ პოზიციაში, ჩვენდა სამწუხაროდ ვეძებდით ამაზე პასუხს თუმცა პასუხი ექსპერტებს არ გაუციათ. დიდი იმედი მაქვს რომ თავდაცვის აკადემია არ იქნება ერთადერთი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება ზოგადად, რომელსაც 100%-იანი დასაქმების სტატისტიკა აქვს. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ შეიძლება დაწესებულებას არ ჰქონდეს კარიერული განვითრების ცენტრი, მაგრამ უმაღლეს დონეზე უჭერდეს მხარს კარიერულ განვითარებას. თუ როგორ აქვს თავდაცვის ძალებს მოწყობილი კარიერული განვითარება ამაზე ქალბატონი თამარი ისაუბრებს. მე კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, რომ იუნკერი როდესაც ჩვენთან მობრძანდება აფორმებს ათწლიან კონტრაქტს. ოთხი წელი სწავლობს და დანარჩენი ექვსი წელი მუშაობს ,შემდეგ თუ სურვილი იქნება რა თქმა უნდა რჩება თავდაცვის ძალებში. ანუ ეს ყველაფერი მაინც მეტყველებს იმაზე, რომ კარიერულ მხარდაჭერაზე თავდაცვის ძალები ზრუნავს.

თამარ სამაგლიშვილმა აღნიშნა რომ ვიდრე კარიერულ განვითარებაზე გადავიდოდა, ისევ და ისევ სპეციალური მოწესრიგების შესახებ ისაუბრებდა. კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, როგორც მარიამმა ახსენა ვფიქრობ, რომ უპრეცედენტო არის ნამდვილად რომ აკადემიას აქვს 100%-იანი დასაქმების მაჩვენებელი და აქ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ფაქტორი იმასთან დაკავშირებით რომ კომენტარი რეკომენდაციის თვალსაზრისით წარმოდგენილი იქნა შემდეგნაირად, რომ აკადემიას უნდა ჰქონდეს კარიერული განვითარების მიმართულება და ეს განსაკუთრებით არის გამოყოფილი სამოქალაქო მიმართულება. თუ გაეცანით იუნკერთა ხელშეკრულებებს პირდაპირ ნახავდით, რომ აქ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას იუნკერი დასაქმდება თუ არა აკადემიის დამთავრების შემდეგ. პირდაპირ სახელშეკრულებო ვალდებულებას ვდებთ, რომ აკადემიას დაამთავრებს თუ არა მინიმუმ 6 წელი უნდა იმსახუროს შემდგომში თავდაცვის ძალებში და ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მინიმუმ 6 წლის განმავლობაში ამ ადამიანს ბედ-იღბალი დასაქმებასთან დაკავშირებით უკვე გარკვეულია. თავდაცვის სამინისტროს აქვს ერთწლიანი პოლიტიკის განსაზღვრის სისტემა ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით და მათ შორის სამხედრო მოსამსახურის კარიერულ განვითარებასთან მიმართებით, რომელსაც ერთი სკოლით ნერგავს სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, ხოლო მეორის მხრივ თავდაცვის ძალების პერსონალის მართვისას ჟენევის დეპარტამენტი, რომელიც არის ერთიანი. ს ასახავს ერთის მხრივ ასახავსროგორი სახის ოფიცერი არის საჭირო, რა შეკვეთას იძლევა ზოგადად მთლიანობაში ნებისმიერი სამხედრო ქვედანაყოფის მიმართ და მითითებულია კონკრეტული ქვედანაყოფი, ხოლო მეორეს მხრივ განსაზღვრული აქვს დაგეგმარების თვალსაზრისით თუნდაც იგივე. ვთქვათ ჩვენ მივიღებთ იუნკერებს. რამდენი იუნკერი უნდა გვყავდეს და მომავალი 20 წლის განმავლობაში ამ იუნკერებს რა ბედი ეწევათ. ასე რომ აკადემიაში მცირე დავიწროებულ ფორმატში ამის აკუმულირება უბრალოდ შეუძლებელია. მინდა აგიხსნათ ის საკითხი, რომ აკადემია როდესაც იღებს იუნკერს, მიღების დღიდან დასრულების შემდეგ მასთან ურთიერთობას აგრძელებს თავდაცვის სამინისტროს სისტემა იმ კუთხით, რომ არსებობს კონკრეტული შემდგომი გადამზადების ფორმულა. აკადემიის დამთავრების შემდეგ მიდის სამხედრო გვარეობების გასავლელად. ულ არის 15 გვარეობა და თითოეულ გვარეობას ჰყავს დაგეგმარება რომლის მენეჯერიც განსაზღვრავს შემდგომი თავდაცვის უნარიანობის მიმართულებით რამდენი სამხედრო მოსამსახურე ესაჭიროება საქართველოს შემდგომი 20 წლის განმავლობაში და ამ კუთხით ხდება კარიერული დაგეგმარების განხორციელება. ამ მიმართულებებს აკადემია თავდაცვის ძალებს ვერ განუსაზღვრავს ხოლო რაც შეეხება ზოგადად კარიერული განვითარების დაგეგმარებას სამოქალაქო ნაწილში, მესმის და გასაგებია რომ ეს სტანდარტები მორგებულია ზოგადად ნებისმერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე, მაგრამ ისევ და ისევ მინდა რომ გაიზიაროთ და ჩაწვდეთ ჩვენს სპეციფიკას. აქ ნიშანდობლივია ეს საკითხიც რომ რა თქმა უნდა ჩვენ ორიენტირებული ვართ შემდგომში თავდაცვის ძალების უნარიანობის ჩამოყალიბებას და გაღრმავებაზე. შემდგომ კარიერულ განვითარებას რაც შეეხება გარდა საბაკალავრო პროგრამისა, სამაგისტრო პროგრამაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოხდეს შემდგომი კარიერული განვითარება მაგისტრატურის კურსდამთავრებულებთან მიმართებით და ამის პრეცედენტსაც გამოვყოფ. სტატისტიკის თვალსაზრისით შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ პირი რომელიც ამთავრებს მაგისტრატურის პროგრამას შემდგომში ინიშნება სხვადასხვა საშტატო თანამდებობებზე რომელიც მოიაზრებს სხვადასხვა სამეთაურო მიმართულებით პოზიციების ჩაბარებას.

მარიამ ღამბაშიძის თქმით, რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც მე-5 სტანდარტში წერია, რომ უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები განსაკუთრებით მაგისტრატურის სტუდენტებისთვის - სამაგისტრო საფეხურზე, როდესაც მობრძანდება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, წინაპირობა არის რომ თუ იგი სამოქალაქო სექტორიდან მოდის აუცილებლად მინიმუმ სამმართველოს უფროსი უნდა იყოს. შესაბამისად, სამმართველოს უფროსი როდესაც მოდის დაწესებულებაში სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ გადაინიშნება სხვადასხვა ქვედანაყოფში სამსახურის

უფროსად. ეს არის სწორედ კარიერული განვითარება. სტუდენტებისთვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შეთავაზების რეკომენდაციას რაც შეეხება, მხოლოდ მაგისტრატურის ჭრილში იზიარებს დაწესებულება ამ რეკომენდაციას გარკვეულწილად, თუმცა აქვე გამოვთქვეს წუხილ, გამომდინარე იქიდან, რომ იუნკერებს საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციები უკავიათ თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასამწუხაროდ ვერ ერთვებიან იმ სიხშირით გაცვლით პროგრამებში, რა სიხშირითაც საბაკალავრო პროგრამებში არიან იუნკერები ჩართულები. მარიამ ღამბაშიძის აზრით, საბაკალავრო პროგრამაზე საერთოდ არ უნდა ყოფილიყო აქცენტი საერთაშორისო მიმართულებით დასმული, რადგან ამ კუთხით მდგომარეობა ნამდვილად კარგად აქვთ სხვა დაწესებულებებთან შედარებით. კახა ყავლაშვილის, ვიცე-პოლკოვნიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ხელმძღვანელის თქმით, რადგან ქალბატონმა მარიამმა გაამახვილა ყურადღება სამაგისტრო საფეხურთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, თავად საუბარს დაიწყებდა სამაგისტრო პროგრამის აქტივობებზე, რომელიც რა თქმა უნდა, მიმდინარე წელს არ ჩატარებულა, მაგრამ გასათვალისწინებელია მიმდინარე და გასული ღონისძიებებიც. ეს იყო ლუბსი, საკმაოდ ძვირადღირებული პროგრამა, რომელიც ჩატარდა 6 კვირის განმავლობაში ორ ეტაპად, ჩაერთო საკმაო რაოდენობის სტუდენტები. დაწესებულებას ჰქონდათ და აგრძელებენ თანამშრომლობას სედუსთან. სედუ არის შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტი საიდანაც 19 მაგისტრანტი მიიღეს ერთი წლის განმავლობაში. ჰქონდათ „მაპექსი“-ს სწავლება, აქ ჩართული იყო ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა, საიდანაც 66 სამაგისტრო სტუდენტი მივიღეს. 2015-დან 2022 წლის ჩათვლით 228 აქტივობა ჩაატარა ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ. ეს იყო საერთაშორისო აქტივობები. აქედან ექსპერტების ვიზიტის პერიოდში ჩატარებული იყო 33 აქტივობა. იცე პოლკოვნიკის გამოეხმაურა ასევე მე-6 სტანდარტის ჩანაწერს, სადაც წერია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი უცხოელი იქნებოდა. ამ დროს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში იყო ხუთი კადეტი, ჩრ. ჯორჯიის უნივერსიტეტის და მათი მხრიდან დაწესებულებამ მიიღო სამწლიანი პროგრამა.

მარიამ ღამბაშიძის თქმით მე-6 სტანდარტი ყველაზე ნაკლებად არის შესაბამისობაში სტანდარტებთან, არის ნაწილობრივ შესაბამისობაში, ამავდროულად, ავტორიზაციის დებულებისს თანახმად, როდესაც სტანდარტი შეფასებული არის ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ეს გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული მიმართულება ხორციელდება საბაზო დონეზე ანუ ექსპერტების შეფასებით აკადემიაში სამეცნიერო კვლევითი მიმართულება საბაზო დონეზე ხორციელდება. მისი თქმით, დაწესებულება საბედნიეროდ იღებს მხოლოდ სამ რეკომენდაციას, თუმცა როდესაც რეავტორიზაცია მოუწევთ, რა თქმა უნდა, მათთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნა. სამეცნიერო კვლევით აქტივობის კუთხით ბატონმა გენერალმა ისაუბრა სამეცნიერო ცენტრის შექმნაზე, რომ სულ რამდენიმე ხნის წინ შეიქმნა და დიდი ინსტიტუციური მეხსიერება უშუალოდ ცენტრს არ გააჩნია, თუმცა მარიამ ღამბაშიძე შეახსენესბ აუდიტორიას, რომ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის არსებობა-არარსებობით არ წყდება სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის საკითხი. შეიძლება დაწესებულებებს არ გააჩნდეთ სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, თუმცა ფაკულტეტების დონეზე იყოს სათანადოდ უზრუნველყოფილი სამეცნიერო კვლევითი მიმართულების მხარდაჭერა. კიდევ ერთი საკითხი, რაც ბატონმა გენერალმაც აღნიშნა, არის ის, რომ აკადემიის ბაზაზე ამგვარი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი შეიქმნა პირველად. ქართულ ლიტერატურას თუ გადავხედავთ სამწუხაროდ არსებობს ძალიან ბევრი სწავლის სფერო, სადაც ჯერჯერობით სამეცნიერო ლიტერატურით არ ვართ განებივრებულები. ერთ-ერთი ასეთი სფერო არის სამხედრო მეცნიერება. თავდაცვის ძალები რომ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს და პრიორიტეტად აქცია სამხედრო მეცნიერება ამას ხაზს უსვამს ძალიან ბევრი დეტალი, მათ შორის მაგალითად ის, რომ სამეცნიერო კვლევით ცენტრში დაწესებულებამ მოიწვია გენერლები, ყოფილი თავდაცვის მინისტრები, გენშტაბის მეთაურები და ა.შ. არიან. ექსპერტები ესაუბრნენ დავით თევზაძეს და სხვა პიროვნებებს, რომლებსაც სერიოზული ინსტიტუციური მეხსიერება გააჩნიათ თავდაცვის ძალებში. ამდენად, აკადემიისთვის სამეცნიერო კვლევითი

აქტივობები მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებით არ შემოიფარგლება. ეს არის საქვეყნო დონის საქმე და ემსახურება მთლიანად საქართველოს იმისათვის, რომ შეიქმნას ძალიან მნიშვნელოვანი ლიტერატურა, რასაც სამხედრო სამეცნიერო ლიტერატურა ჰქვია. წარმოდგენილია უამრავი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ საბაზო დონეზე აკადემია არ ახორციელებს სამეცნიერო კვლევით მიმართულებას, წარმოდგენილია შრომები, წიგნები, უამრავი კონფერენცია, პერსონალი, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში თავისი ნაშრომები. დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმება, რომ ერთ-ერთი გასაუმჯობესებელი მხარე არის სამეცნიერო კვლევითი მიმართულება, თუმცა სამწუხაროდ ეს თანხმობა პირიქით შემოუტრიალდათ, სამწუხაროდ, გათვალისწინებულ არ იქნა ის თურა კუთხით უნდა აღქმულიყო ეს ფაქტი. მარიამ ღამბაშიძის თქმით, როცა დაწესებულება თავადვე აღიარებს რომ გასაუმჯობესებელი აქვს რაღაც მხარე, პირიქით ეს ყოველთვის დადებით კონტექსტში არის ხოლმე განხილული. ერთი რამაც ასევე მთელ აკადემიას გული დასწყვიტა მისი თქმით არის დასკვნის შემდეგი ჩანაწერიდაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის პასუხად: "ექსპერტთა ჯგუფი აფასებს დაწესებულების მოტივაციას რომ განვითარდეს თუმცა პოტენციალი და მოტივაცია ვერ გახდება ავტორიზაციის შეფასების წინაპირობა". დასკვნაში ვხედავთ ჩანაწერს, რომ ექსპერტები აკადემიას აძლევენ რჩევას, რომ განახორციელონ ორმაგი/ერთობლივი სადოქტორო პროგრამები. მაშინ როდესაც ექსპერტები ფიქრობენ, რომ აკადემია საბაზო დონეზე ახორციელებს სამეცნიერო კვლევით აქტივობებს, თქვენ ფიქრობთ რომ თქვენთვის არაფერს არ აფასებენ დაწესებულების პოტენციალს და მოტივაციას, ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ რატომ ვხედავთ დასკვნაში ჩანაწერს, რომ აკადემია განვითარდეს სადოქტორო პროგრამის მიმართულებით. იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამისა, ექსპერტებს არ უკარგავს შრომას და იმ რეკომენდაციებს რაც წერია, გარკვეულწილად ნამდვილად ეთანხმება. არიამ ღამბაშიძემ საბჭოს კიდევ ერთხელ სთხოვა ყურადღება მიექციათ ზემოაღნიშნული ორ ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერისთვის. ბოლოს, მანდ ხაზი გაუსვა კიდევ ერთი საკითხს, რაც ნახსენები იყო დასკვნაში, რომ აკადემიას პრეტენზიას აცხადებს ინტერნაციონალიზაციაზე, თუმცა მიმდინარე პერიოდისთვის მხოლოდ ერთი პერსონალი ჰყავდა უცხოელი და არცერთი საერთაშორისო სტუდენტი. მისი თქმით, აკადემიას საერთაშორისო სტუდენტები არა ჰვყავს პროგრამებში ჩართული იმიტომ, რომ არ ითვალისწინებს თავდაცვის ძალების პოლიტიკა, რომ საერთაშორისო სტუდენტები ჰყავდეთ სრულად პროგრამაში ჩართული, თავდაცვის ძალები საქართველოს მოქალაქეებზე ხარჯავს ფულს და ეს ბუნებრივია, თუმცა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი არ იზომება მხოლოდ ამ ასპექტით.

ე-7 სტანდარტის ნაწილში, ვიცე პოლკოვნიკმა, გიორგი ლალიშვილმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, აკადემიის დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის. მას ასევე აქვს სამხედრო დანიშნულება და ამ მნიშვნელობით ყველა სამხედრო დანიშნულების მქონე ობიექტის მოწყობის საკითხიარის მკაცრად განსაზღვრული შინაგანი სამსახურის წესდებით. აქედან გამომდინარე, აკადემია მოწყობილია შინაგანი სამსახურის წესდებით, რომელიც არის დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 აგვისტოს 519 დადგენილებით. აქვე არის მითითებული, რომ აკადემიას უნდა ჰქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იქნება იმ ქვედანაყოფის მეთაურის მიერ. ვიცე პოლკოვნიკის თქმით, აკადემიას აქვს აღნიშნული გეგმა დამტკიცებული აკადემიის რექტორის მიერ, მაგრამ ეს გეგმა არ არის დამტკიცებული სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, ამასთანავე აღნიშნული ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა იმდენად დეტალურად და იმდენად მნიშვნელოვნად არის გაწერილი, რომ დღეს აკადემიაში მყოფმა ყველა პირმა იცის თუ ხანძრის შემთხვევაში რომელი ოთახიდან რა მარშრუტით რომელი ნივთი უნდა გაიტანოს უსაფრთხო ადგილზე. აქედან გამომდინარე, სხვა სტრუქტურის მიერ გაწერილი ხანძარსაწინააღმდეგო გეგმა ვერ იქნება თავდაცვის აკადემიისთვის თავდაცვის გეგმის შემადგენელი ნაწილი. მან ყურადღება გაამახვილა რომ აღნიშნული გეგმა სტანდარტის მოთხოვნაა და აკადემია

ნამდვილად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ამავდროულად, მისი თქმით აკადემია ორი ქოლგის ქვეშაა წარმოდგენილი, თავდაცვა და განათლება, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო გეგმასთან დაკავშირებით აკადემიაში არასამუშაო საათებში ინიშნება ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფი, რომელსაც ყოველდღიურად უტარდება ინსტრუქტაჟი და არის შესაბამისი გამოწვევებისთვის მზად, სხვა სტრუქტურის ქვედანაყოფი ვერ უზრუნველყოფს შეიარაღებას საწყობში ა.შ.
მარიამ ღამბაშიძის თქმით,, მე-7 სტანდარტში ხაზგასმულია,რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არ არის გამოყოფილი ტერიტორია, კერძოდ. აკადემიის ტერიტორიის გარეთ არის კარგი საპარკინგე ადგილი, მაგრამ აქვე აღნიშნულია რომ შშმ პირებისთვის პარკინგი არ არის გამოყოფილი. ავტორიზაციის სტანდარტების მიგვითითებს შემდეგს: შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შშმ პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა. აკადემიაში გამშვებ პუნქტამდე ხელმარცხნივ არის დახაზული შშმ პირისთვის ავტოსადგომისთვის სპეციალური ადგილი გამოყოფილი. მარიამ ღამბაშიძის თქმით, აკადემია ავტორიზაციის სტანდარტს პასუხობს, მათი ტერიტორიიდან ყოველგვარი შეფერხების გარეშე ადამიანს შეუძლია ნებისმიერ შენობამდე მიღწევა. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ყველა შენობა არ არის ადაპტირებული, თუმცა, ყველა შენობა ვერც იქნება ადაპტირებული იმიტომ, რომ ყველა შენობაზე მათი სისტემიდან გამომდინარე მხოლოდ კონკრეტულ პირს აქვს დაშვება. ესაბამისად, მაგალითად კონკრეტულ შშმ პირს არ აქვს დაშვება მე-10 შენობაზე და ა.შ..
თამარ სამაგლიშვილის თქმით, აკადემიას აქვს შემენილი “მაცნეს” სამომხმარებლო ანგარიშები, რომელიც არის ხელმისაწვდომი ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის და საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლია ნებისმიერ მათგანს რომ ისარგებლოს. გარდა ამისა, დასკვნაში ნახსენები იყო ის, რომ შესაბამის სამსახურებს ან/და იუნკერებს არ აქვთ წვდომა საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებულ ვერსიებზე, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ მაცნეს ანგარიშები ყოველთვის ხელმისაწვდომია, მეორე მხრივ კი აკადემიის საიტზე პერიოდულობით ახლდება საკანონმდებლო აქტები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს თავადვე აწვდის აკადემიის იურიდიული სამსახური აღნიშნულ მასალას განახლების მიზნით. ამასთანავე, აკადემიას იუნკერებისათვის აქვს სპეციალური პროგრამა, რომელსაც ჰქვია “ილიასი” და ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ მას ვიზიტის დროს. იუნკერის პირად სივრცეში, პირად კაბინეტში, განთავსებულია საგანმანათლებლო აქტები, რომლებიც უშუალოდ შემხებლობაშია მათთან, რომ იუნკერს დამატებითი აღარ მოუწიოს წვალება ინფორმაციის მოპოვებაზე. შემდეგი საკითხი ეხებოდა ვიდეო მონიტორინგს. ვიდეო მონიტორინგის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეხვედრებზე დააფიქსირეს უკვე პოზიცია და კიდევ განმარტეს საბჭოს სხდომაზეც, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის განმარტების თანახმად, თუ მიმდინარეობს დაწესებულებაში ვიდეო მონიტორინგი ან/და ხდება ვიზუალური დათვალიერება კონკრეტული ტერიტორიისა, ამისათვის არის აუცილებელი წინა პირობები და ეს აუცილებელი წინაპირობები აკადემიის მხრიდან კმაყოფილდება ყოველ ჯერზე, რამდენჯერაც აკადემიაში ახალი პირი შეაბიჯებს, ეს იქნება იუნკერი, ლექტორი თუ სხვა თანამშრომელი. ამ მხრივ კანცელარიას აქვს შესაბამისი პაკეტი სამართლებრივი პროცესისა.
იკა თიკანაშვილი მიესალმა ინსტიტუციის წარმომადგენლებს და აღნიშნა რომ ისინი ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან ქვეყნისთვის და ზოგადად თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის. ასევე იგი პატივისცემით მიესალმა ექსპერტთა ჯგუფს, დიდი მადლობა გადაუხადა მათ ჩართულობისთვის და ქვეყანაში განათლების ხარისხის განვითარების პროცესებში მონაწილეობისთვის. მან აღნიშნა, რომ როგორც ინფორმაციულობის დონეზე, ასევე სტუდენტთა ჩართულობის ნაწილში, პირადად არაერთი საერთაშორისო პროექტისა თუ სხვდასხვა პროგრამის შედეგები უნახავს თავდაცვის აკადემიაში, მათ შორის ძალიან ბევრი უცხოელი სტუდენტის ჩართულობით და ეს ძალიან კარგია. მან ორ საკითხზე გაამახვილა ყურადღება და შეკითხვა დასვა როგორც ექსპერტებთან, ასევე დაწესებულებასთან. იკა თიკანაშვილმა დაწესებულებას მიმართა მე-5 სტანდარტთან

დაკავშირებით, რომ როდესაც ვსაუბრობთ ავტორიზაციის სტანდარტებზე და მოთხოვნაზე იმასთან დაკავშირებით, რომ კარიერული ცენტრი უნდა არსებობდეს, კარიერული ცენტრის ერთ-ერთი ფუნქცია გარდა დასაქმების ხელშეწყობისა, არის გარკვეული ტიპის კონსულტირება, ინფორმაციის მიწოდება, ღონისძიებები. ამდენად, იგი დაინტერესდა ცენტრალიზებული ფუნქციური ერთეულის არარსებობის გარეშე როგორ ხდება თუნდაც იმ საკითხების უზრუნველყოფა, რაც არის მითითებული ავტორიზაციის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებში. ვიცით, რომ დასაქმების მაჩვენებელი მაღალია და ბუნებრივია ასეც იქნება, თუმცა, არის გარკვეული საკითხები, რომლებიც ცენტრალიზებულ სამუშაოებს გულისხმობს, ეს იქნება გარემო მხარდაჭერის სერვისი, ინფორმაციის მიწოდება, კონსულტირება მომავალი დასაქმებულებისათვის თუ სხვ. ამდენად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა მეთოდებით და რა შესაბამისი მექანიზმებით ხდება ზემოაღნიშნული მიმართულებით სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მისი მომდევნო შეკითხვა შეეხო გაცვლით პროგრამებს. ებგვერდზე თვალსაჩინოდ იყო ჩამოთვლილი სხვადასხვა გაცვლითი პროგრამა, ასევე მითითებულია აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციები უცხოეთში, თუმცა საინტერესო იყო სტატისტიკური მონაცემების ცოდნა თუ რა რაოდენობის სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა და რომელ უნივერსიტეტებში სწავლობდნენ აკადემიის მხრიდან. ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ეს დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა და ძალიან სასიხარულოა, თუმცა რადგანაც რეკომენდაციაში აღნიშნულია ამ მხრივ ჩანაწერი, დაწესებულებისგან ითხოვა მეტი არგუმენტი, რათა საბჭომ სათათბირო შესვენების დროს სათანადოდ იმსჯელოს. სევე, მან აღნიშნა, რომკვლევითი მიმართულება გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტების მხრიდან რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლების მე-3 საფეხური - დოქტორანტურა, სხვა საჭიროებებს გულისხმობს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ თავდაცვის აკადემია დღევანდელ დღეს კვლევითი ცენტრით არის წარმოდგენილი. მათი ძირითადი დანიშნულება არის სამხედრო მიმართულება და საქმიანობა, ძალიან კარგია რომ ისინი ახორციელებენ კვლევითი ნაწილის ინტეგრაციას ამ კუთხით. მისასალმებელია ამ ცენტრის არსებობა, თუმცა არის სამი რეკომენდაცია. ამ საკითხზე მან შეკითხვით ექსპერტებთან გადაინაცვლა. მე-6 სტანდარტი არის საკმაოდ მოცულობითი თავისი ქვე სტანდარტებით, ინდიკატორებით და ჩაშლით, შესაბამისად, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა თუ რამდენად იყო გაცემული სამი რეკომენდაცია მე-6 სტანდარტთან მიმართებით განმსაზღვრელი იმისა, რომ მივიღოთ სტანდარტის ნაწილობრივი შეფასება. მისი თქმით უნდა ვხედავდეთ სხვა საკითხებსაც, კერძოდ, კმაყოფილდება თუ არა მე-6 სტანდარტის სხვა კრიტერიუმებიდან დასკვნის აღწერილობით ნაწილში ბევრ საკითხთან დაკავშირებით ინდიკატორები.

აბჭოს წევრი, ნა ფირცხალაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მე-6 სტანდარტთან მიმართებით დაწესებულებას მიმართა კითხვით აქვთ თუ არა აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების - ანტიპლაგიატის სისტემა დანერგილი უნივერსიტეტში, რომელი პროგრამა აქვთ და როგორ მუშაობს. ის ასევე დაინტერესდა იმით თუ რომელი ნაშრომების გატარება ხდება ანტიპლაგიატის სისტემაში, სადაც დამთხვევა დგინდება. ეორე კითხვა შეეხება ბიუჯეტს. მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტში დაახლოებით 05% არის კვლევაზე განკუთვნილი, 80,000 ლარი. ს დაინტერესდა თუ როგორ არის ჩაშლილი ეს თანხა და იგეგმება თუ არა ბიუჯეტის გაზრდა ნელ-ნელა. ის ასევე დაინტერესდა თუ როგორ არის ბიუჯეტი ჩაშლილი, რა კეთდება ამ თანხით და რა არის პრიორიტეტული. ანა ფირცხალაშვილის მიერ დაისვა მესამე შეკითხვა, რომელიც მიემართებოდა როგორც ექსპერტებს, ასევე დაწესებულებას. გი დაინტერესდა დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებით, თუ რა არის გაწერილი და რა ხორციელდება რეალურად. ან ამ კითხვით დაწესებულებას და ექსპერტებს მიმართა.

აბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს პასუხი გაეცათ საბჭოს წევრების მერ დასმულ შეკითხვებზე.

რექტორის მოადგილემ, პოლკოვნიკმა დავით რაზმაძემ კარიერულ კონსულტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ მათ ცენტრალიზებულად თავდაცვის

სამინსიტროში და თავდაცვის ძალებში აქვთ ე.წ. “HR”-დეპარტამენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებას, სწავლის პროცესში პროგრამულად აქვთ ჩადებული ყოველ კურსზე მათი სამხედრო გვარეობებიდან 15 გვარეობა. რაც გულისხმობს, რომ თვითონ გვარეობის წარმომადგენლები მოდიან აკადემიაში. აქ არის საუბარი რომ გვარეობის სარდალი, გვარეობის ქვედანაყოფის ერთ-ერთი მეთაური და ამ გვარეობაში მომსახურე კურსდამთავრებული იუნკერები, რომლებიც უკვე ოფიცრები არიან, ხვდებიან ჩვენს სტუდენტ - იუნკერებს და უწევენ კონსულტაციას, რომელიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში სასწავლო პროცესის თანმდევი პროცესია. აწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-3 და მე-4 კურსებზე ცენტრალიზებულად ხდება მათი კარიერული დაგეგმვის დეპარტამენტებიდან იქ ჩასვლა, რომელიც არის ადამიანის რესურსების მართვის დეპარტამენტის მიმართულება და ისინი უწევენ იუნკერებს კონსულტაციებს.

აწესებულების წარმომადგენლის, კახა ყავლაშვილის განმარტებით საერთაშორისო პროექტის ფარგლებში მიიღეს 47 სტუდენტი. რომელთაგანაც 4 იყო ფრანგი კადეტი. ასევე, 42 ქართველი იუნკერი გაემგზავრა თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის აკადემიის დახმარებით, ხოლო მიმდინარე მდგომარეობით 17 იუნკერი სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე. აწესებულება ხშირად ახორციელებს მოკლევადიან გაცვლით პროგრამებს. გაცვლითი პროგრამები მოიცავდა როგორც კულტურულ, ასევე საგანმანათლებლო მიმართულებას და სამხედრო მომზადებას. მაგალითისთვის აღნიშნა, რომ ერთ დღიანი პროგრამა არის ყოველი იანვრის თვეში, საფრანგეთში, სადაც ხდება საველე სწავლებაზე ქართველი იუნკერების ჩართვა. ასევე დაწესებულებამ წელს პირველად მიიღო მონაწილეობა “ვესთ ფოინთის” სამხედრო უნარების შეჯიბრში სადაც თერთმეტი იუნკერი გაემგზავრა მათი გუნდის შემადგენლობიდან. პირველად განხორციელდა მსგავსი აქტივობა მათი რეგიონიდან, რაც კარგი ნაბიჯი იყო და აღსანიშნავია, რომ შარშან ისინი იყვნენ საერთაშორისო სამართლის გამარჯვებულები იტალიაში, სადაც მიიღეს მონაწილეობა. შარშან გახდნენ ჩემპიონები საერთაშორისო სამართალში. აღნიშნული არის მცირე ინფორმაცია წლევანდელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

აწესებულების წარმომადგენლის, თამარ საძაგლიშვილის განმარტებით ანტიპლაგიატის სისტემა ე.წ. Turnitin - ის პროგრამა უკვე 6 წელია მოქმედებს აკადემიაში, რომელზეც ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული კიდევ 3 წლის ვადით. აქვთ 2000 მომხმარებელზე ნაყიდი. იქიდან გამომდინარე, რომ მაქსიმუმ 400 სტუდენტი შეიძლება ჰყავდეთ, თუმცაღა ატვირთვის რაოდენობა მათთვის ულიმიტოა. რაც შეეხება თუ რა დოკუმენტები ნუ თუ რა ნაშრომები მოწმდება პროგრამით, ეს არის- ყველა კონფერენციის სტატია, საბაკალავრო ნაშრომები, სამაგისტრო ნაშრომები და ასევე სწავლის პროცესში თუ რაიმე ესე იწერება აბსოლუტურად ყველა დოკუმენტი გადის პლაგიატზე შემოწმებას. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს ე.წ. ანტიპლაგიატის წესი.

აკადემიის შტაბის ფინანსური სამმართველოს უფროსის, გიორგი მინდიაშვილის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ახალ შეიქმნილია და სრულად დაკომპლექტდა 2021 წელს. გამოყოფილია გარკვეული თანხა, რაც მომავალში არ დარჩება უცვლელი და გაიზრდება. აც შეეხება თანხის გადანაწილებას, მოცემული თანხა ნაწილდება შემდეგნაირად - კონფერენციების დაფინანსება, სამეცნიერო კონფერენციების დაფინანსება, სამეცნიერო ჟურნალების გამოშვება. აკადემიაში პერიოდულად გამოიცემა ნაშრომები, სამეცნიერო ჟურნალი. სევე ფინანსდება პერსონალის და იუნკერების საერთაშორისო კვლევითი ღონისძიებების ვიზიტები და წიგნების დაბეჭდვა.

აწესებულების წარმომადგენელმა, თამარ საძაგლიშილმა აღნიშნა რომ 80,000 ლარი არის კვლევების დაფინანსებისთვის გამოყოფილი,რომელის მოსაპოვებლადაც ნებისმიერ პირს, რომელსაც სურვილი აქვს შეუძლია მიმართოს აკადემიას. დაწესებულებას აქვს შიდა გრანტების გაცემის წესი, რომელიც აკადემიურ საბჭოს მიერ არის დამტკიცებული. ჰიპოთეტურად რომ განმარტონ, თუ სხვა ადამიანი ჩაატარებს კვლევას ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელს გადაეცემა თანხა კვლევითი საქმიანობის

განხორციელებისთვის, რა თქმა უნდა ეს კვლევითი საქმიანობა თუ მიზნობრივად არ არის აუცილებელი პარტნიორ ორგანიზაციასთან ჩატარდეს, ადგილზე ანხორციელდება. ამ თანხაში არ მოიაზრება, რაიმე სახის ადმინისტრაციული მიმართულებით გახარჯული თანხა ან კომუნალური გადასახადები, მანქანით მომსახურება და ა.შ. კადემია სრულად უზრუნველყობს პერსონას აღნიშნული მიმართულებით. ამავდროულად თუ საჭიროება არსებობს შესაძლებელია დამატებითი კვლევა განხორციელდეს ჩამოთვლილ პარტნიორ ქვეყანაში. აკადემიის თანამშრომელს ან თავდაცვის თანამშრომელს შეუძლია კონკრეტული კვლევითი საქმიანობა განახორციელოს აკადემიისთვის და იგი ასევე უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი მხარდაჭერის სერვისებითაც. რაც შეეხება ამ სახის გადანაწილებას, გამოყოფილითანხის გადანაწილებასთან დაკავშირებით როგორც გიორგიმ ახსენა ყოველწლიურად დგება ბიუჯეტი და შესაძლებელია კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად დაკორექტდეს გამოყოფილი თანხა და თუ არ მოხდება დაკორექტირება და ეს თანხა დარჩება უცვლელას - 80,000 ლარი, მომავალი ათ წლის განმავლობაში კვლევითი ნაწილის განვითარებისთვის და უზრუნველყოფისთვის თავდაცვის სამინისტროს სისტემას აქვს გამოყოფილი 14 მილიონი ლარი საკუთარ ბიუჯეტში. თუ აკადემიას ამოეწურება შიდა ლიმიტი იმიტომ, რომ ერთიანი სისტემაა, ასეთ შემთვევაშიმოხდება მიმართვა თავდაცვის სამინისტროსათვის და მოთხოვნა, რომ მათ უზრუნველყონ კონკრეტული თანხის გამოყოფა, რადგან დაწესებულებამ განახორციელოს ნ კონკრეტული საქმე. გარდა ამისა, აკადემიის შიდა მოწესრიგება ბიუჯეტის დაგეგმარებასთან დაკავშირებით იძლევა საშუალებას რომ გამოთავისუფლდეს კონკრეტული კომპონენტიდან აუთვისებელი თანხები და თუ ამის საჭიროება მოხდება გადანაწილდეს კვლევით მიმართულებაზე

აბჭოს წევრი, ნა ფირცხალაშვილი დაინტერესდა საკითე, რომელიც ეხებოდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს კვლევების დაფინანსებისთვის და რა ხდება აფილირებული პროფესორის, მკვლევარის და ა.შ.შემთხვევაში.

ამარ სამაგლიშვილის განმარტებით შესაძლებელია, რომ ადამიანმა კვლევითი საქმიანობა განახორციელოს ორი მიმართულებით, როგორც აკადემიური კვალიფიკაციის და სტატუსიდან გამომდინარე, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. შეიძლება მომავალში თავდაცვის სამინისტროს დასჭირდეს ინფორმაცია, მაგალითად თუ როგორია სერჟანტთა როლი თავდაცვის ძალებში, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ის სამომავლოდ და თუ როგორ უნდა განვითარდეს. სერჟანტს, რომელიც მუშაობს დაახლოებით 40 წელი თავდაცვის ძალებში მათ დამატებით არ მოეთხოვებათ დოქტორის ხარისხის დაფინანსების მისაღებად საგრანტო მიმართულებით პროექტების მთავარი მიზანია რომ მოხდეს მათი განხორციელება უნივერსიტეტი ბეჭდავს და შემდგომ თავდაცვის ძალების და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების უზრუნველყოფის ფორმით ახორციელებენ ეროვნული ბიბლიოთეკის შევსება იმისთვის, რომ საჯარო იყოს მათ მიერ ჩატარებული კვლევები.

არიამ ღამბაშიძემ სხდომაზე დამსწრე პირებს გაუზიარა დოკუმენტი, რომელთან მიმართებითაც განმარტა რომ ეს იყო აკადემიის სტრუქტურა. ისი თქმით რექტორის მოადგილე, პოლკოვნიკი დავით რაზმაძე კურირებს საგანმანათლებლო მიმართულებას. ბაკალავრიატის სპეციფიური მოწყობიდან გამომდინარე ჰყავს თავისი ბაკალავრიატის მეთაური, რომელიც დეკანის ფუნქცია-მოვალეობებით არის წარმოდგენილი და ასევე მაგისტრატურის ხელმძღვანელი - მაგისტრატურის დეკანის ფუნქცია-მოვალეობებით. მათ შემდეგ ექვემდებარება ბაკალავრიატის მიმართულებით ოთხი საბაკალავრო პროგრამა და ერთი ენობრივი მომზადების განყოფილება, რომელიც ქართულ ენაში მომზადების პროგრამას ფარავს და მაგისტრატურის მიმართულებით ახორციელებენ სამი პროგრამას. ან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის დოკუმენტი, სადაც გაწერილიასტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და იქ უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეულის ფუნქცია-მოვალეობა .როგორც სხვა საერო დაწესებულებებში

ზუსტად იგივენაირი ფუნქციით არის ჩვენთანაც წარმოდგენილი, თუმცა აი ამ სპეციფიური მოწყობით რადგან ჩვენ ფაკულტეტები არ გვაქვს, ჩვენთვის ბაკალავრიატია ერთი ფაკულტეტი, რომელშიც იშლება პროგრამები და მაგისტრატურა მეორე შესაბამისად ბაკალავრიატს და მაგისტრატურას ჰყავს დეკანები ხელმძღვანელებად, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელები ხელმძღვანელობენ პროგრამებს.
კონსტანტინე სირბილაძის კითხვა ეხებოდა მე-6 სტანდარტს და დაინტერესდა უფრო ღრმად და საფუძვლიანად გაცნობოდა თუ რატომ იყო აღნიშნული სტანდარტი დაბალი შეფასებით წარმოდგენილი. ისი აზრით კვლევების მიმართულებით სტრატეგია არის სუსტი, ინსტიტუციას განსაზღვრული ამ დროისათვის არ აქვს და ამის საფუძველს გვაძლევს ის პასუხები, რაც მოისმინეს, რომ აქ თანხები შეიძლება იყოს განვითარებაზე მიმართული, მაგრამ დარგობრივი კვლევების განვითარებაზე ფაქტიურად არაფერი არ მოუსმენია. ბუნებრივია იგი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ეს არ არის უნივერსიტეტი, ეს არის სასწავლო უნივერსიტეტი და აქ არ მოეთხოვება კვლევის განვითარებას ბუნებრივია მათ აქვთ სტრატეგიული განვითარების გეგმა და როგორც ჩანს პერსპექტივაში აქვთ ამ მიმართულების განვითარება. ეორე კითხვა ეხებოდა ინსტიტუციურ მოწყობას . ქვეყანაში არსებობს სპეციფიური უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შეფასების სხვადასხვა სქემები. ხომ არ გიფიქრიათ, რომ მიგემართათ მთავრობისათვის თქვენი ავტორიზაცია ცოტა განსხვავებულ რეჟიმში წარიმართოს იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელიც თქვენი პირდაპირი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ისახება. მისი მოსაზრებით ასეთ შემთხვევაში ბევრი კითხვა, რომელიც დაისვა საბჭოს სხდომაზე უკვე აღარ იქნებოდა დასმული.

აბჭოს თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია დასმულ კითხვებთან მიმართებით.

არიამ ღამბაშიძის განცხადებით მე-6 სტანდარტში გამოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით, კვლევითი პროექტები, რომლებიც არის დასრულებული, მიმდინარე ან დაგეგმილი ზუსტად არის მიბმული იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც აკადემია ახორციელებს. გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი დაკომპლექტებულია იმგვარად, რომ უშუალოდ პერსონალი კვლევებში წარმომადგენლები არიან იმ კონკრეტული სფეროსი რომელ პროგრამებსაც ახორციელებენ. ბიუჯეტი არის ჩაშლილი. პრიორიტეტი ენიჭება ცხადია იმ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროს რა სფეროშიც ხორციელდება კონკრეტული კვლევა. რაც შეეხება უშუალოდ სტრატეგიას, კვლევით ცენტრს აქვს თავისი სტრატეგია, რაც ცხადია გამომდინარეობს აკადემიის სტრატეგიული გეგმიდან. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციებში სტრატეგიული გეგმის არათანმიმდევრულ შესრულებაზე იყო ხაზი გასმული. როდესაც 2020-2021 წელს მტკიცდება სტრატეგია და 2022 წლის აპრილში განხორციელდა ვიზიტი უფრო მეტი დრო არის საჭირო რომ სტრატეგია იქნას გამოცდილი. ცხადია მათ ამის მექანიზმებიც აქვთ თუ რამდენად სრულდება სტრატეგია და სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ჯგუფი კვარტალში ერთხელ ამოწმებს ამ ყველაფერს, თუმცა კიდევ ერთხელ დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ სამეცნიერო კვლევით ცენტრს აქვს თავისი სამეცნიერო გეგმა, რომელიც შესაძლოა იქნას დახვეწილი და ეს გეგმა შესაბამისობაში არის სტრატეგიულ გეგმასთან. მონიტორინგის ჯგუფი პერმანენტულად ამოწმებს სტრატეგიულ გეგმას და პერიოდულად როგორც აღნიშნეს კვარტალში ერთხელ გამოვყოფთ ძირითად გასაუმჯობესებელ მხარეებს. არის რიგი საკითხები, რომლებიც რა თქმა უნდა მიემართება ამ კვლევის კომპონენტზე და ამიტომ ჰქონდათ დასახელებული მათ გასაუმჯობესებელ მხარედ. ეს კომპონენტი არ უტოლდება მათი ანალიზით და შეფასებით სხვა სტანდარტებს უმაღლეს დონეზე, თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ეს არ არის საბაზო დონეზე და ბოლო მათ მიმართ გაცემული რეკომენდაცია რაც ეხება, რომ ხომ არ განიხილავენ სპეციფიური სტანდარტების ან უფრო სხვანაირად დაწესებულების შეფასებას, ამის ძალიან დიდი სურვილი აქვთ. ამაზე საუბარი იყო იმიტომ, რომ არსებობს საღვთისმეტყველო დაწესებულებები. მათი დაწესებულებაც არის სპეციფიური დაწესებულება, თუმცა ძალიან დიდი დრო ჭირდება იმას, რომ გადაწყვეტილება საბოლოო სახით იქნეს მიღებული. თუმცა

დაწესებულების წარმომადგენლები რჩევას ითვალისწინებენ და შესაბამის ზემდგომ ორგანოებთან, ზემდგომ საკურაციო მინისტრის მოადგილეებთან განიხილავენ ამ საკითხსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:47 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 14:58 საათი

ვტორიზაციის საბჭოს მიერ შეფასება და კენჭისყრა:
საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
სტანდარტი 1 - უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება:

- აკადემიამ სამოქმედო გეგმაში უნდა განსაზღვროს ზუსტი გაზომვადი მიზნები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები.

სტანდარტი 2 - უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:
სტანდარტი 3 - საგანმანათლებლო პროგრამები:

- საბაკალავრო პროგრამებზე (სამოქალაქო კურსები) მეტი პრაქტიკული მუშაობა უნდა განხორციელდეს;
- სამაგისტრო პროგრამებისთვის აუცილებელია კვლევის კომპონენტების გაძლიერება.

სტანდარტი 4: პერსონალი
სტანდარტი 5 - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები:

- რეკომენდებულია მაგისტრატურის საფეხურზე მობილობის წესის შესწორება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;
- სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართული უნდა იყვნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის (განსაკუთრებით მაგისტრატურის) სტუდენტები;
- კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გასაძლიერებლად და გასამრავალფეროვნებლად, ასევე დასაქმების შესაძლებლობებისთვის, განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორში, უნდა დაინერგოს კარიერული განვითარების ცენტრი/ერთეული;
- უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, განსაკუთრებით, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

სტანდარტი 6 - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა:

- ეროვნულ თავდაცვის აკადემიას სჭირდება ძლიერი პოლიტიკა დაწესებულების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისთვის;
- აკადემიამ უნდა განამტკიცოს კვლევითი სტრატეგიის თანმიმდევრული განხორციელება;
- აკადემიამ უნდა შეიმუშაოს გაზომვადი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის.

სტანდარტი 7 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები:

- აუცილებელია ყველა შენობაში საევაკუაციო ნიშნების განთავსება;
- ყველა შენობას უნდა ჰქონდეს ავარიული გასასვლელები;

- არქივი დროულად უნდა განახლდეს დოკუმენტების ნორმალური განთავსებისა და მონაცემთა ბაზების მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- სახანძრო უსაფრთხოების გეგმა უნდა დაამტკიცოს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა;
- ყველა შენობა და ავტოსადგომი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირებისთვის;
- აკადემიამ ან უნდა შეწყვიტოს ლექციების ვიდეო მონიტორინგი, ან გამონაკლისი შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობოს ყველა სტუდენტს და პერსონალს და მოითხოვოს ამის დამადასტურებელი ხელმოწერა და ყველგან, სადაც ვიდეო მონიტორინგი ტარდება, უნდა განათავსოს სპეციალური ნიშნები;
- ბიბლიოთეკარმა და ყველა პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს განახლებული კანონმდებლობა ან მიეცეთ წვდომა მონაცემთა ბაზაზე, რათა უზრუნველყონ სტუდენტები კანონმდებლობის განახლებული ვერსიებით.

რჩევები:

1 - უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება:

ეროვნული თავდაცვის აკადემიამ უნდა:

- აკადემიამ უნდა შეასწოროს თავისი მისიის განაცხადი, გახადოს ის უფრო კონკრეტული და თავსებადი სტრატეგიულ გეგმასთან;
- აკადემიამ მისიის განაცხადში უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების ზოგადი სურათის კონტექსტის, ტენდენციებისა და გამოწვევების უკეთ ასახვით;
- გააფართოვოს ლიდერობის სწავლება სამხედრო კონტექსტის მიღმა;
- გამოიყენოს კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შედეგები დაწესებულების სუსტი და ძლიერი მხარეების დასადგენად;
- დეკანის და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა უნდა დაიკავოს სხვადასხვა ადამიანმა შესაბამისი სამუშაო აღწერილობით: დეკანები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ სწავლებისა და კვლევის წარმოებაზე; პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა მართონ სასწავლო პროცესები;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებმა სრულად უნდა გააცნობიერონ ხარისხის კულტურის მნიშვნელობა დაწესებულებისთვის და საჭიროა ყველას ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროცესებში.
- გაზარდოს იუნკერების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობა და მონაწილეობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში;
- სისტემატიურად შეიმუშაოს, თანამშრომლების საჭიროებებზე/მოთხოვნებზე დაფუძნებული, მიზნობრივი მოკლევადიანი სასწავლო კურსები.

სტანდარტი 2 - უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:

- ექსპერტთა ჯგუფი აკადემიის ურჩევს მოიძიოს მეტი დაინტერესებული მხარე, რადგან ის აერთიანებს სამხედრო და სამოქალაქო განათლების კომპონენტებს;
- აკადემიის ეთიკის კოდექსი საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებას კვლევის ეთიკის შესახებ მეტი ინფორმაციის დამატებით (რადგან ეს მხოლოდ პლაგიატს არ ეხება) და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის დისკრიმინაციის ასპექტების შესახებ შესაბამისი მუხლის შემუშავებით.

სტანდარტი 3 - საგანმანათლებლო პროგრამები:

- პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდის მიზნით, პროცესმა მოიცვას სტუდენტები, კურსდამთავრებულები და შრომის ბაზრის წარმომადგენლები.

სტანდარტი 4: პერსონალი:
სტანდარტი 5 - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები:

- სასურველია აკადემიამ შეინარჩუნოს უკეთესი კავშირი კურსდამთავრებულებთან და მეტად ჩართოს ისინი თვითშეფასების პროცესებში.

სტანდარტი 6 - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა:

- კვლევითმა ცენტრმა უნდა მოიზიდოს მეტი პარტნიორი და განახორციელოს ერთობლივი კვლევითი პროექტები;
- კვლევის ეთიკა უნდა იყოს შემუშავებული და დოკუმენტირებული;
- აკადემიამ ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნდა გახადოს სისტემატური;
- აკადემიამ უნდა გამოაცხადოს შიდა საგრანტო კონკურსი წელიწადში ორჯერ მაინც და შეიმუშაოს გამჭვირვალე და სამართლიანი ინდიკატორები კვლევითი განაცხადების შესაფასებლად;
- აკადემიამ SWOT ანალიზში „კვლევის მწირი დაფინანსება“ უნდა მიუთითოს სუსტ მხარედ და არა შესაძლებლობად.

სტანდარტი 7 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები:

- საევაკუაციო გეგმა უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის საკითხი, 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიში წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე:13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის. შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას(სტატუსი - სასწავლო უნივერსიტეტი) მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წელის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

16:55 გაგა გვენეტაძემ დატოვა საბჭოს სხდომა.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის (თვით)აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

დავით სიხარულიძის თქმით იგი წარადგენდა დასკვნას ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგი განხორციელდა Zoom პლატფორმის საშუალებით 2022 წლის 27 მაისს. ექსპერტთა მიერ შეფასდა დაწესებულების ავტორიზაციის ის სტანდარტები, რომლებეც გაცემული იყო რეკომენდაციები. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია, თუმცა, რჩება რეკომენდაციები, რომლებიც ნაწილობრივ ან არ არის შესრულებული.

პირველი რეკომენდაცია ეხება ვებგვერდზე უნივერსიტეტის დებულებასა და სტრუქტურის განახლებას მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად. მეორე რეკომენდაცია ეხება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგის პრაქტიკაში დანერგვას, რომლის ანალიზის საფუძველზეც დაწესებულებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები. მესამე რეკომენდაცია ეხება საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების გაცნობას დაინტერესებული მხარეებისთვის, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამებში შედის ცვლილებები თუმცა ეს ხშირ შემთხვევაში დაუყონებლივ არ აისახება დაწესებულების ვებგვერდზე. ასევე, კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის განვითარების სამწლიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული სამწლიან პერიოდზე გათვლილი ამოცანები. სევე, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით განსაზღვრული მონიტორინგისა და ანალიზის შეფასების პროცესზე დაყრდნობით არ იყო განსაზღვრული საქმიანობები. კიდევ ერთ რეკომენდაცია დაკავშირებულია თვითმმართველობის არჩევნებთან. მიუხედავად იმისა, რომ დებულება და ეთიკის კოდექსი შემუშავებულია, თვითმმართველობის არჩევნები არ ყოფილა ჩატარებული, და ექსპერტის შეფასებით ეს საკითხიც უნდა იყოს მოგვარებული დაწესებულების მიერ. ასევე ერთ-ერთი რეკომენდაცია არის სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის საკითხთან მიმართებით გაცემული. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას სხვადასხვა სახის თანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული, აღნიშნული საკითხი კიდევ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა უნივერსიტეტის გამომცემლობაში ნაშრომთა ადგილობრივი თუ საერთაშორისო გარე რეცენზირების ინიცირებული პროცესების სრულ დანერგვას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს მემორანდუმი გაფორმებული აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, რომლის ფარგლებშიც, რა თქმა უნდა, რეცენზირების პროცესი უნდა ყოფილიყო დაწყებული, თუმცა

ჯერჯერობით ეს საკითხი ისევ განვითარების პროცესშია. ბოლო სამი რეკომენდაცია ეხება საბიბლიოთეკო და სააუდიტორიო სივრცის, ცენტრალური გათბობის სისტემის სრულ დაფარვას. ამ მხრივ წინა რეკომენდაცია არის ნაწილობრივ შესრულებული. რეკომენდირებული იყო აგრეთვე დაწესებულების ვებგვერდის სიახლეებისა და მნიშვნელოვანი განყოფილებების ხელმისაწვდომობა ინგლისურ ენაზე, რაც ნაწილობრივ შესრულებულია. ბოლო რეკომენდაცია ეხება ფინანსური მონიტორინგის ანგარიშის გამოქვეყნების საჭიროებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

მეუფე სპირიდონმა განაცხადა რომ უნივერსიტეტი ლიცენზირებულია 2008 წლიდან. 2009 წლიდან მიიღეს პირველი ნაკადი, უკვე ფაქტიურად მე-14 წელია, გამოშვებულია უკვე 1900-ზე მეტი დიპლომირებული სპეციალისტი, რომლებიდანაც დაახლოებით 95%, შეიძლება უფრო მეტიც, მთლიანად დასაქმებულია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ძირითადად სად არიან კურსდამთავრებულები დასაქმებულნი.

მეუფეს თქმით ისინი ბათუმში, ხელვაჩაურში, ქობულეთში, ქედაში, შუახევსა და ხულოში არიან დასაქმებულნი. კონკრეტულად, კი ბანკებში, საავადმყოფოებში, სკოლებსა და გამგეობებში. სხდომას ესწრება გამგებელი, ბატონი ტარიელი ფუტკარაძე, დაწესებულების სრული პროფესორი, რომელიც დაგვემოწმება, რომ კურსდამთავრებულები კონკურსში იმარჯვებენ. ეუფეს თქმით, ამის მიზეზი დაწესებულებაში ძალიან ინტენსიური სწავლებაა. ღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში სწავლა და უფასოა და სანამ პანდემია დაიწყებოდა კვებაც უფასო იყო. დაწესებულებაში სწავლობენ ასევე პირები საინგილოდან, ჯამში, 30-ზე მეტი სტუდენტი, და ამდენად, პერსონალისათვის ჩვეულებრივ პასუხისმგებლობას ემატება დიდი პატრიოტული სულისკვეთებაც.

მეუფე სპირიდონის თქმით, 32 რეკომენდაცია იყო მოცემული და მეტწილად შესრულებულია ხუთი რეკომენდაცია, ოთხი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, მაგრამ მეტწილად შესრულებულის შემთხვევაში თავად პროცესია უბრალოდ მიმდინარე. მაგალითად უნივერსიტეტებთან ურთიერთობის კუთხით, დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება დადებული კონსტანცის უნივერსტიტეტთან , (რუმინეთი), მაგრამ პანდემიის გამო ვერ მოხერხდა გაცვლითი პროექტის განხორციელება. სევე, მაგალითად, დონის როსტოვის უნივერსიტეტის რექტორი არის ბატონი ბესარიონ მესხი., რომელთანაც დაწესებულებამ დადო ხელშეკრულება რამდენადაც ძალიან დიდი ქართული დიასპორაა იქ, რამდენიმე ათეული ათასი კაცი ცხოვრობს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი სწავლობს უნივერსიტეტში და უფასო თუ არის ყველაფერი.

რექტორის განცხადებით უნივერსიტეტში სწავლობს 1200-ზე მეტი სტუდენტი და აბსოლუტურად ყველაფერი არის უფასო. ისინი მადლობლები არიან, რომ აქვთ საშუალება ინგილოები ჩამოიყვანონ. ამჟამად 32 პირი იყო საინგილოდან, რომელთა უმეტესობამ დაამთავრა სწავლა. ადგილობრივი სტუდენტებიც მათთან ერთად ცხოვრობენ.

კახა შენგელია დაინტერესდა პროფესორებიც მათთან თუ ცხოვრობენ.

მეუფე სპირიდონის თქმით, პროფესორები ძირითადად ბათუმიდან დადიან, უბრალოდ უმრავლესობა წარმოშობით ადგილობრივია, მაგრამ როდესაც გადაბმული ლექციები აქვთ, ზოგჯერ რჩებიან ადგილზე, დაწესებულებაში ღამეს ათევენ, კითხულობენ ლექციებს. სევე, კვება უფასო იყო პანდემიამდე, პანდემიის დროს მეუფეს თქმით შეეშინდათ დიდი სუფრის გაწყობის, რომ ვინმე ავად არ გამხდარიყო, ახლა კი ფიქრობენ ეს ყველაფერი გააგრძელონ, რამდენადაც განათლების სამინისტროსგან მიიღეს თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:30 საათი
საბჭოს სხდომა დასრულდა: 17:45 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 103-ე მუხლის პირველი პუნქტის; 88-ე მუხლის 24-ე და 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა